ალია

N10 /2940/ 23 იანვარი 2014 წ
ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

ექსკლუზივი

## ვის და რატომ უთვალთვალებს გოგორიშვილი პარლამენტში?



ექსკლუზივი

### რატომ გადაყიდა საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი გაძლიერებულ რეჟიმზე?



## ახალი მთავარი პროკურორი თავის ნამდვილ ბიოგრაფიას მალავს?



### რა მასალები გადასცა ბაღათურიამ პროკურატურას სააკაშვილზე?



## რატომ არ ენდობა მარგველაშვილის უწყებას და რაში დაიზღვია თავი ღარიბაშვილმა?

რატომ აქვთ პრეზიდენტ მარგველაშვილსა და პრემიერ ღარიბაშვილს ერთი და იგივე ფუნქციებით აღჭურვილი ორგანოები დაქვემდებარებაში? რა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა და რა პროვოკაციას გეგმავენ „ნაციონალები“ კეზერაშვილთან დაკავშირებული სკანდალის გადასაფარად?

ვრცლად 2 გვ.



### რატომ არ იცნობენ „ოცნების“ დეპუტატები ევროსაბჭოს მუქარის წერილს?



## საქართველოს მოსახლეობის 12-13% პედერასტი და 10% ლესბოსელია?

### რისთვის ემადლიერება „ლგბტ“ ორგანიზაცია უსუფაშვილს, წულუკიანს, თამარ ჩუგოშვილსა და თამარ კორძაიას?



ექსკლუზივი

### რატომ არ აუქმებენ სოფლის კოოპერატივების კანონში კორუფციულ მუხლს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ილია II უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა



„კიევში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოც და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს. ქვეყანა რთულ პერიოდს გადის და დაძაბულობა შეიძლება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. დიდად ვწუხვართ, რომ უკვე არის მსხვერპლი და დაშავებულთა სერიოზული რაოდენობა. შევთხოვთ უფალს, რომ პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს და მოვლენები უმართავი არ გახდეს. მოციქულ ანდრიას, წმიდა ვლადიმერისა და წმიდა ოლღას ლოცვით ღმერთმა დალოცოს უკრაინა და უკრაინელი ხალხი და შეაძლებინოს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრა“. – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში. (პირველი)

### საქართველოში 24 იანვრამდე წვიმიანი ამინდი იქნება

საქართველოს მთელ ტერიტორი-



აზე 24 იანვრამდე წვიმაა მოსალოდნელი. ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ცენტრის მონიტორინგისა და პროგნოზირების სამსახურის ინფორმაციით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში შესაძლოა, მოთოვოს.

25 იანვრიდან გამოიდარებს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ყინვაა მოსალოდნელი.

„23 იანვარს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმას ველოდებით. მაღალმთიან რაიონებში მოსალოდნელია თოვლი და ქარბუქი, გაძლიერდება ქარიც. ამგვარი სიტუაცია 24 იანვრამდე გაგრძელდება, 25 იანვრიდან უკვე გამოიდარებს“, – აცხადებენ სამსახურში (ჯი-ეიჩ-ენი)

## კალაძე ხაიშში კიდევ ერთხელ ჩავა



ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „ხუდონჰესის“ პროექტთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში ხაიშში კიდევ ერთხელ ჩავა. კალაძის განცხადებით, მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში კონსტრუქციული იქნება.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის, ენერგეტიკისთვის. ესაა ფაქიზი და სენსიტიური თემა და ძალიან კარგად გვესმის მოსახლეობის. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოხდეს ადგილობრივების დარწმუნება იმაში, რომ ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ენერგეტიკის განვითარებისთვის. მთავრობა იქნება კონსტრუქციული და ვფიქრობ, შედეგიც დადგება“,– განაცხადა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გმირთა მოედანზე ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა



გმირთა მოედანთან, ესტაკადაზე „ტოიოტას“ ფირმის ჯიპს ცეცხლი გაუჩნდა. ინციდენტის დროს მძღოლი და მგზავრები არ დაზარალებულან. მაშველების განცხადებით, მანქანის ძარაში აალება, სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია.

აღნიშნულის გამო გმირთა მოედნიდან სანაპიროზე ავტომანქანების მოძრაობა შეზღუდული იყო. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რატომ არ ენდობა მარგველაშვილის უწყებას და რაში დაიზღვია თავი ღარიბაშვილმა?

**ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრთან არსებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო შეიქმნა, რომელსაც საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი დავით სუჯაშვილი ხელმძღვანელობს. აღნიშნული საბჭო თავისი შემადგენლობით, ამოცანებითა და უფლებამოსილებებით თითქმის იგივეა, რაც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო — ეროვნული უშიშროების საბჭო.**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია:**

– ორი ერთი და იგივე ფუნქციის ორგანოს არსებობა ქვეყანაში იმის ბრალია, რომ წინა ხელისუფლებამ ძალიან ცუდად შეცვალა კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერ-მინისტრთან გადმოვიდა ის ფუნქციები და უფლებები, რაც საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა. დღეს გვყავს დე ფაქტო პრეზიდენტი და დე იურე პრემიერ-მინისტრი. ასეთი ცვლილებების ფონზე, როდესაც ეროვნული უშიშროების საბჭო არის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში, პრემიერ-მინისტრი რჩებოდა უსაფრთხოების მიმართულებით, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და კრიზისების მართვის ძლიერი ბერკეტების გარეშე. დღეს ქვეყანა დგას რეალური საგარეო გამოწვევების წინაშე, აუცილებელია, იყოს ორგანო, რომელიც კრიზისების ოპერატიულ დაძლევაზე იმუშავებს და ბუნებრივია, ეს ორგანო უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში, რადგან უფლებებით ის არის ნომერ პირველი პირი.

**— უშიშროების საბჭო მინიმალური უფლებებით მუშაობს, მას, ფაქტობრივად, აქვს სათათბირო და მონიტორინგის ფუნქცია. რატომ არ შეითავსა ეს ფუნქციები პრემიერთან არსებულმა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ? ამით ხომ ბიუჯეტის თანხა დაიზოგებოდა და ირინა იმერლიშვილის ჯიპებისა და აიფონების სკანდალიც არ იქნებოდა?**

– გეთანხმებით აბსოლუტურად. ჩვენ, ექსპერტთა ნაწილმა, შევიმუშავეთ რეკომენდაციები და როგორც ჩანს, მთავრობამ ეს რეკომენდაციები გაითვალისწინა, თუმცა არა იმდენად, როგორც ეს საჭირო იყო. ჩვენ შევთავაზეთ პრემიერს, შექმნილიყო საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, რომელიც მოახდენდა საინფორმაციო უზრუნველყოფას და ამ პრობლემას ადვილად მოხსნიდა, თუნდაც იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრს ექნებოდა ის რეალური ანალიტიკური მიდგომები და საინფორმაციო უზრუნველყოფა, რაც მისთვის აუცილებელია. ეს არ იქნებოდა კონსტიტუციური გადაცდომა. ანალიტიკური ცენტრის არსებობა არის აუცილებლობა. როგორც ჩანს, ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს.

**— თქვენი რეკომენდაციების გათვალისწინება საბიუჯეტო ხარჯებს შეამცირებდა?**

– ბუნებრივია, შეამცირებდა იმ კუთხით, რომ შეიქმნებოდა ანალიტიკური ცენტრი, რომელიც არ მოითხოვდა დამატებითი ხარჯების არსებობას. ეს იქნებოდა პრემიერ-მინისტრის აპარატში შემადგენელი სტრუქტურა და უზრუნველყოფდა პრემიერისთვის ინფორმაციისა და სიტუაციური ანალიზის მიწოდებას. ამავდროულად შეიძლება მოხდეს უშიშროების საბჭოსთვის სრული უფლებების დაბრუნებაც და პრეზიდენტმა და პრემიერმა გაინაწილონ ფუნქციები. ეს ხარჯებსაც შეამცირებს და არც ამ ორგანოს მუშაობა იქნება ნაკლებ ეფექტური.

**— ძალიან მძიმე პროცესი მიდის უკრაინაში, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზეა. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ამ ფონზე გეგმავს თუ არა კონკრეტული პოლიტიკური ან უცხოური სპეცსამსახურების ჯგუფი საქართველოში ვითარების დაძაბვას?**

– უკრაინაში განვითარებული მოვლენები აუცილებლად აისახება საქართველოზე და მოსალოდნელია პოლიტიკური კრიზისის განვითარება. არ არის გამორიცხული, ეს სიტუაცია გამოიყენონ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. ყველას გვახსოვს, რომ ორხელისუფლებიანობის პერიოდში „ნაციონალური მოძრაობა“ სისტემატურად ახორციელებდა საბოტაჟს. მე ვიცი კონკრეტული ფაქტები, როგორ მოქმედებდნენ „ნაციონალები“ კოჰაბიტაციის დროს, მუდმივად იყო მცდელობა სამოქალაქო დაპირისპირების და ეს არაერთხელ გამოიხატა. თუნდაც 17 მაისის მოვლენები ავიღოთ, უფრო ადრე კი იყო 8 თებერვლის პროვოკაცია. უახლოესი მოვლენებიდან გავიხსენებ უწმინდესის ეპისტოლეს, გახსოვთ, რა ამბავი ატეხეს „ნაციონალებმა“ ამ თემაზე. ამაზე საზოგადოების აზრიც ორად გაიყო. ნებისმიერ მსგავს თემას გამოიყენებენ ისინი საზოგადოების გახლეჩისა და დაპირისპირებისთვის. ამავდროულად არ დაგავიწყდეთ, რომ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მაღალი დონის ელიტარული კორუფციის სკანდალები, კეზერაშვილი არის სააკაშვილისა და მისი გუნდის „აქილევსის ქუსლი“. თქვენივე გაზეთი, „კვირის ქრონიკა“ წერდა, როგორ ევედრება სააკაშვილი ფრანგულ მხარეს, რომ არ მოხდეს კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირება. სააკაშვილმა დაადასტურა, რომ კეზერაშვილი იყო მათი მოლარე. კეზერაშვილის „წყალობით“ „ნაციონალები“ გადიან საერთაშორისო დანაშაულზე. არ არის გამორიცხული, ამოვარდეს ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმეც, ამიტომ მათ ახლა ყველაზე მეტად სჭირდებათ არეულობა, რომ გადაფარონ ეს თემა. სამწუხაროდ, შექმნილი ფონიც უწყობს ხელს – სოჭის ოლიმპიადა, უკრაინაში არსებული ვითარება, ასევე თურქეთში არსებული ვითარება სირიის მიმართულებით. სომხეთში რუსული გავლენა იზრდება და პარალელურად ქვეყანა სამხედრო შეიარაღებას ზრდის, ამან შეიძლება გამოიწვიოს აზერბაიჯანთან გარკვეული კოლიზიების განვითარება. ჩვენ დღეს ვართ ოთხი რეალური გეოსტრატეგიული გამოწვევის წინაშე, აქედან სამი უკვე მოქმედებს – ოლიმპიადა, უკრაინა და თურქეთი, გარკვეული ძალები ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ, ბუნებრივია.

**— რა ფორმით შეიძლება ისარგებლონ შექმნილი ვითარებით „ნაციონალებმა“, რა შეიძლება მოიმოქმედონ?**

– გეუბნებით, რომ „ნაციონალები“ კეზერაშვილის სკანდალის გადასაფარად ყველაფერზე წავლენ. თუნდაც ის არ გენიშნათ, რომ „რუსთავი 2“ დილიდან საღამომდე გადასცემს პირდაპირ ეთერში უკრაინის ამბებს? გამოვიდნენ „ნაციონალები“ რუსთაველის გამზირზე და თითქოს ხალხის მოყვარულებმა გააპროტესტეს უკრაინის ხელისუფლების მოქმედება. სამოქალაქო იდეების განვითარებით შეეცდებიან ისინი კონფლიქტის წარმოშობას საზოგადებაში, როგორიც იყო 17 მაისი, როგორიც იყო პატრიარქის ეპისტოლე... ახლა აყვირდებიან, პროდასავლურობის იდეით გამოდითო. ამ კუთხით შეინიშნება უკვე მათი აქტიურობა. ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს ქართველ ხალხს, შესაძლოა, ჩათრეული ვიქნეთ პროვოკაციაში, რაც ჩვენთვის იქნება დაღუპვის ტოლფასი. არ გამოვრიცხავ, სწორედ პროდასავლურობის იდეას მოეჭიდონ საციხედ გამზადებული „ნაციონალები“ და ამ კუთხით მოაწყონ გარკვეული პროვოკაციები.

**შორენა გოგოლაძე**
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რკინიგზის შემოსავალი 28 მლნ ლარით გაიზარდა

წინასწარი ოპერატიული მონაცემებით, რკინიგზის 2013 წლის შემოსავალი სატვირთო გადაზიდვებიდან და მასთან დაკავშირებული სადგურების ოპერაციებიდან დაახლოებით 28 მლნ ლარით გაიზარდა.

„საქართველოს რკინიგზის“ განცხადებით, „2013 წლის ხარჯების ზრდის ძირითადი ნაწილი გამოწვეულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ წლის დასაწყისში მიღებული გადაწყვეტილებით თანამშრომლებისთვის (გარდა მმართველი რგოლისა) ხელფასის საშუალოდ 30%-იანი ზრდით (დაახლოებით 25 მლნ ლარი); ტვირთების შემცირებასთან დაკავშირებით კომპანია მარტიდან აკეთებდა განმარტებებს, შესაბამისად, წლის ბოლოსთვის ეს ინფორმაცია ახალი არ გახლავთ და გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

ა: 2012 წლის ბოლოს, სომხეთში მოხდა ხორბლის მარაგის წინასწარი შეტანა, რაც აისახა 2013 წლის რკინიგზით გადაზიდული ხორბლის შემცირებაზე;

ბ: 2012 წლის ბოლოს აზერბაიჯანში დაიხურა ქარხანა, რომელიც მოიხმარდა საქართველოს პორტებიდან შემოსულ ბოქსიტის მადანს. რაც წლის განმავლობაში შეადგენდა 500 ათას ტონას;

გ) დერეფანში, შეინიშნება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემცირების ტენდენცია. ამასთანავე, 2013 წლის მეორე კვარტალში აზერბაიჯანულმა კომპანიამ დაასრულა კონტრაქტი „თენგიზ შევროილთან“, რაც აისახა მეორე კვარტალში აღნიშნული ტვირთის შემცირებაში. კომპანიის მენეჯმენტისა და სახელმწიფოს აქტიური მუშაობის შედეგად, აღნიშნულმა ტვირთმა, 2013 წლის მესამე კვარტალიდან განაახლა მოძრაობა გაზრდილი ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, ბოლო წლებში პირველად, დაფიქსირდა ნავთობპროდუქტებში ზრდა და 2012 წელთან შედარებით შეადგინა დაახლოებით 350 ათასი ტონა“. – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ჯანდაცვა ნარკომანიის განსხვავებულ სტრატეგიაზე მუშაობს



საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ნარკომანიის მართვის ახალ, განსხვავებულ სტრატეგიაზე მუშაობს. მინისტრი სერგეენკო აცხადებს:

„ღიად ვაღიარებ, რომ ამ მიმართულებით რეფორმა არ მიმდინარეობდა ეფექტურად, შესაბამისად, ბოლო დღეებში და ბოლო ორი კვირის განმავლობაში გავაკეთეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები. იმ იურიდიულმა პირმა, რომელსაც ამ სტრატეგიის შექმნა და მონიტორინგი ევალებოდა, ვერ იმუშავა ეფექტურად და გავაკეთე რადიკალური საკადრო ცვლილებები. ამ სამსახურის ხელმძღვანელად დავნიშნე ამ დარგის ერთ-ერთი აღიარებული ექსპერტი, ყველაზე დიდი გამოცდილებით, გელა ლეჟავა“, – აღნიშნა მინისტრმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ მალე წარმოდგენილი იქნება სრულიად განსხვავებული, შედეგზე ორიენტირებული ნარკომანიის მართვის ახალი სტრატეგია.

„ეს საკითხი, ვერც ერთმა ქვეყანამ საბოლოოდ ვერ მოაგვარა, მაგრამ მე, ამ მხრივ, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ ის რეფორმა, რასაც ჩვენ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ჩავატარებთ, მნიშვნელოვნად შეამცირებს ზიანს“, – დასძინა მან. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა მასალები გადასცა ბადათურიამ პროკურატურას სააკაშვილზე?

**„ალიას“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**

**— ბატონო ჯონდი, ბრიფინგზე განაცხადეთ, რომ პროკურატურას დოკუმენტურად წარუდგინეთ იმ ქონების ნუსხა, რასაც ფლობს სააკაშვილი და მისი ოჯახი. ბალნეოლოგიურსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსზე, რომელიც სიმბოლურ ერთ ლარადაა გადაცემული, ადრე ვისაუბრეთ. კიდევ მიაგენით სააკაშვილის ოჯახის მიერ მითვისებულ რამე ქონებას?**

– მის მფლობელობაშია ასევე ყოფილი სასამართლოს და შემდეგ საჯარო რეესტრის შენობა, რომელიც ერთ ლარად აითვისა. 18-მდე დაწესებულებაში აქვს წილი დედამისს, რომლის ქონებაც მილიონობით ლარს ითვლის. ეს არის ის ქონება, რაც შესწავლილი გვაქვს და რაც არ ვიცით, ის სხვაა კიდევ. დაახლოებით 200 მილიონის ქონება აქვს დედამისს, რომელიც დავთვალეთ. ეს არის უძრავი ქონება, ჩანს ვიზუალურად, გვაქვს მისი ფოტომასალა.

**— ამ ხელისუფლების პროკურატურაში ადრეც ხომ გაქვთ შეტანილი მასალები. რამე გაკეთდა, დაიწყეს გამოძიება?**

– მასალები მე 2012 წლის ნოემბერში შევიტანე პროკურატურაში და წელიწადზე მეტია, ველოდები უწყებიდან პასუხს. თავიდან გამოძიება დაიწყო კარგად, ენერგიულად, დაეწერა კბილაშვილს. მან აიყვანა პირად კონტროლზე ეს საქმე დიდი ზარ-ზეიმით შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც საკმაოდ გამოცდილი, ძველი პროკურორი ჩაუდგა სათავეში, კვარაცხელია იყო გვარად. რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე, 2 კვირის ვადა ითხოვა, ბევრი მასალაა და უნდა გავეცნოო. მერე კიდევ 2 კვირის ვადა ითხოვა, მერე სულ გავიდა „მომსახურების ზონიდან“.

**— მაშინ ამბობდნენ, რომ ნაცვლიშვილის ინტერესში რაც არ შედიოდა, არ იძიებდნენ. როგორ ფიქრობთ, ეს საქმე ვინ დაბლოკა?**

– ამას ნაცვლიშვილს ვერ დავაბრალებ. ჩემი აზრით, ეს დაკავშირებული იყო პრემიერ-მინისტრის სურვილთან, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური ნება, რომ მწვანე აენთო პროკურატურისთვის. ამიტომაც ვერ ხდებოდა ასეთი რეზონანსული საქმეების გამოძიება.

**— პროკურატურა რას ამბობდა?**

– პროკურატურაში ამას ხსნიდნენ იმით, რომ სააკაშვილს იმუნიტეტი იცავდა, ამიტომ მე დავაპაუზე და 1 წელი მშვიდად ვიცდიდი. ახლა 3 თვეა, რაც სააკაშვილს იმუნიტეტი აღარ აქვს და უკვე ავხმაურდი. ველოდებოდი, რომ დღე-დღეზე დაინიშნებოდა ახალი პროკურორი და აი, დაინიშნა კიდეც. ახლა დავუკავშირდები ამ პროკურორს და მოვითხოვს პასუხს.

**— იმედი გაქვთ, რომ ახლა მაინც გამოიძიებენ?**

– ან უნდა მითხრას, რომ ის მასალები, რაც გადავუგზავნე, კანონიერია, ანუ პრეზიდენტს ამ შენაძენის უფლება ჰქონდა, ან უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე. სხვა გამოსავალი არ აქვს. ის მასალები, რომელიც მე მას გადავუგზავნე, პირდაპირ დაუსაბუთებელ ქონებას ეხება. კანონის ამ მუხლით სააკაშვილმა ბევრი გაასამართლა, ბევრს ქონება ჩამოართვა. ასე რომ, მარტო საბრალდებო სკამზე კი არ უნდა დავსვათ სააკაშვილი, არამედ ის ქონება, რომლის კანონიერებასაც ვერ დაასაბუთებს, უნდა ჩამოვართვათ. დღეს ვერანაირად ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ქონება კანონიერია, ამიტომ მართავს ქვეყანას, რაც უკანონო და დაუშვებელია. ახალი მოცემულობაა ის, რომ სააკაშვილს იმუნიტეტი არ იცავს და ხალხსაც ყელში ამოუვიდა, რასაც ხედავენ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. ივანიშვილი კი მართავს გარედან პროცესებს, მაგრამ იმის იმედით ვარ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, კარგი გაგებით, აგრესიული ჩანს. როგორღაც უნდა შევქმნათ ისეთი მოცემულობა, რომ მოვთხოვოთ, ვაიძულოთ ხელისუფლება, აღადგინოს სამართლიანობა. ცხოვრებაში ხომ არავინ არაფერს არ გაჩუქებს, თუ არ გამოგლიჯე? ჰოდა, უნდა გამოვგლიჯოთ სამართლიანობა ხელისუფლებას, არ უნდა სააკაშვილი ახლა ხაფანგშია. მე მაქვს სრული სია მისი ყველა ლეგალური შემოსავლის და თუ თქვა, არალეგალური შემოსავალი მქონდაო, ისიც უნდა ჩამოერთვას. მისთვის ქონების ჩამორთმევა გარდაუვალია. აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე არალეგალიზებულ შემოსავლებთან დაკავშირებით. მან, ჯამში, რაც მტკიცდება, 1 მილიონ 100 000 ლარი საჩუქრის სახით, რეალურად კი, ქრთამად მიიღო.

**— ვისგან?**

– ბიძინა ივანიშვილისგან. საქმეში დევს დოკუმენტი, სადაც შემტანი და მიმღები ფიქსირდება ზუსტად.

**— რომ ამბობთ, ხელისუფლების ნება არ იყო და არ გამოიძიეს სააკაშვილის ქონების წარმომავლობაო, ახლაც იგივე ხელისუფლება არაა. რატომ გგონიათ, რომ გამოიძიებენ?**

– ამით დამტკიცდება ის, რომ ივანიშვილი გვერდიდან მოვეშვათ. უნდა აიძლო, შენ მიმართ სამართლიანი იყოს. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, პატივი სცეს მოქალაქეებს. კანონიერი, კონსტიტუციური ზეწოლა უნდა მოვახდინოთ ხელისუფლებაზე, რომ გაასამართლოს კრიმინალები ადეიშვილი, ბენდუქიძე და ძმანი მისნი, მთელი ბანდა. დიდი ნდობით არც მე ვარ ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენის მიმართ, ამიტომ ჩემი გეგმაც ესაა.

ახალმა პროკურორმა სხვა რა უნდა აკეთოს, გეკითხებით? რა მორალით უნდა გაასამართლოს სხვა, როცა ამხელა კრიმინალურ ბანდას არ ასამართლებს? უგულავა, სააკაშვილი, ბენდუქიძე თუ გარეთ იქნებიან, რა ლეგიტიმაცია ექნება პროკურატურის გადაწყვეტილებას, ამიტომ ეს პროცესი გარდაუვალია და ამდენი უნდა ესმოდეთ მათ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი უკრაინელ ხალხს მიმართავს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და მოქალაქეების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„დიდი მღელვარებით ვადევნებთ თვალს ჩვენს მეგობარ და პარტნიორ ქვეყანაში – უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. მეტად გვაწუხებს ის, რომ კიევის ქუჩებში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა მსხვერპლი. გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ამ ტრაგიკული ფაქტის გამო. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას და ვიტოვებთ იმედს, რომ უკრაინის ხელისუფლება და მთლიანად საზოგადოება გამოიჩენს სიბრძნეს და არ დაუშვებს მოვლენათა ძალადობრივ განვითარებას. გვჯერა, რომ უკრაინელ მეგობრებს შესწევთ უნარი, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი პოლიტიკური საკითხები“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## რუსთაველზე უკრაინის მხარდამჭერი აქცია ჩატარდა

თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ უკრაინის მხარდამჭერი აქცია ჩატარდა. აქციის მონაწილეებს ევროკავშირისა და უკრაინის დროშებთან ერთად ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით „შეწყდეს დიქტატურა“.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, ის აქციაზე მივიდა როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც მხარს უჭერს უკრაინელი ხალხის ნებას, რათა ისინი შევიდნენ ევროპულ ოჯახში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საგარეო ღრმა მწუხარებას გამოხატავს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა მწუხარებას კიევში განვითარებული მოვლენებისას მოქალაქეთა დაღუპვისა და დაშავების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს.

„საქართველო პატივს სცემს თითოეული ქვეყნის უფლებას, განსაზღვროს თავისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, თუმცა, ამასთანავე, აუცილებელია, დაიცვას სამოქალაქო საზოგადოების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს როგორც უკრაინის მთავრობას, ასევე აქციის მონაწილეებს, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან და იმედოვნებს, რომ უკრაინა, რომელიც საქართველოს ტრადიციულად მეგობარი ქვეყანაა და რომელთანაც ორმხრივ და მრავალმხრივ, მათ შორის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატში, წარმატებულად ვთანამშრომლობთ, შეძლებს დიალოგის გზით სიტუაციის განმუხტვას, ქვეყნისა და უკრაინელი ხალხის ინტერესების შესაბამისად.

გულწრფელად გვსურს, მომავალშიც, უკრაინა, საქართველოსთან ერთად, ვიხილოთ როგორც საერთოევროპული ფასეულობების გამზიარებელი ქვეყანა დიდ ევროპულ ოჯახში“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## უმცირესობა სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს



საკრებულოს უმცირესობა 24 იანვრის რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-რეფორმატორების“ თავმჯდომარის თემურ გრიგალაშვილის განცხადებით, უმცირესობისთვის გახდა ცნობილი, რომ 24 იანვარს ტარდება საკრებულოს სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც არ არის შეტანილი ბიუჯეტის განხილვა.

„ირაკლი შიხიაშვილი და მისი უმრავლესობა კვლავ აგრძელებს დედაქალაქის მოსახლეობის აბუჩად აგდებას. ბიუჯეტის ჩაგდებაზე, ასევე შეჩერებულ პროექტებზე სრული პასუხისმგებლობა პირადად ირაკლი შიხიაშვილს ეკისრება. იქიდან გამომდინარე, რომ სხდომაზე არ განიხილება ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, ჩვენ არ ვაპირებთ მონაწილეობა მივიღოთ მორიგ „შიხიადაში“.

როგორც ჩანს, ირაკლი შიხიაშვილისთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა ნიშნავს გრძელვადიან მივლინებებს, ძვირიან ციმციმებიან ავტომობილებს და არა ხალხზე ზრუნვას და იმ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, რაც დედაქალაქის მოსახლეობას აწუხებს. საკრებულოს უმცირესობის სახელით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს და მის მეგობრებს, იმუშაონ ქალაქის ბიუჯეტზე და რეალურად მოემსახურონ არა ვიწროპარტიულ ინტერესებს, არამედ მოაგვარონ დედაქალაქის საჭირბოროტო საკითხები“, – განაცხადა გრიგალაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## დიდი ცოფიანობა საქართველოში



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განაცხადებით, ცოფთან დაკავშირებით საქართველოში მართლაც სერიოზული პრობლემებია და დაკბენის შემდეგ ცოფზე აცრების მხრივ საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილს არავის უთმობს.

„ცოფის შემთხვევების მხრივ, მესამე-მეოთხე ადგილზეა საქართველო მსოფლიოში", – განაცხადა მინისტრმა.

სერგეენკოს ინფორმაციით, დაკბენების 80% შინაურ ცხოველებზე მოდის და არა გარეულზე. მისივე ინფორმაციით, ეს არის საშინელი პრობლემა და ცოფთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია კამპანია, რომელიც მრავალმიმართულებიანი იქნება. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისის მერიასთან მამაკაცმა თავი დაიზიანა



ქუთაისის მერიასთან ახალგაზრდა მამაკაცმა სახე დაისერა. როგორც გაირკვა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირი სოციალური სამსახურის უფროსთან შეხვედრას და საკუთარ პრობლემებზე საუბარს ითხოვდა, უარის მიღების შემდეგ კი, ბლაგვი საგნით სახე დაისერა.

ადგილზე გამოიძახეს სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიცია, თუმცა მამაკაცმა მიუხედავად კისრისა და სახის არეში ღრმა ჭრილობისა, სამედიცინო დახმარებაზე ექიმებს უარი განუცხადა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რატომ არ იცნობენ „ოცნების" დეპუტატები ევროსაბჭოს მუქარის წერილს?

22 იანვარს გამოვიდა „ნაციონალი" გიორგი კანდელაკი და ტექსტი ჩააბულბულა, რომ თურმე ევროპული მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო შეშფოთებულია უგულავას ბედით, ანუ დემოკრატიულად არჩეული თანამდებობის პირის მანდატის შეჩერებისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ანგარიშსწორების კამპანიის გამო.

როგორც კანდელაკი ირწმუნება, გასულ კვირას პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წერილით მიმართა ევროპის კავშირის რეგიონების კომიტეტის პრეზიდენტმა რამონ ლუის სისომ, რომელშიც ნათქვამია: „თუკი საქართველოს მთავრობა განაგრძობს პოლიტიკური ანგარიშსწორების კამპანიას, მსგავსი შეფასებები, რომლებიც უარყოფითად აისახება საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე, სულ უფრო მწვავე გახდებაო".

**საინტერესოა, ნამდვილად მიიღო საქართველოს მთავრობამ მსგავსი წერილი თუ „ნაციონალების" შეთითხნილია? ან თუ მიიღო, რას აპირებენ?**

**„ალია" კომენტარისთვის დაუკავშირდა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ვიქტორ დოლიძეს:**

– მსგავსი შინაარსის წერილი მე ნამდვილად არ მინახავს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი, საქართველოს ხელისუფლება პატივს სცემს ევროპულ ქარტიას და ასევე, უპირველეს ყოვლისა, პატივს სცემს კანონის უზენაესობას. მაშინ, როცა მოსამართლემ გამოიტანა ვერდიქტი და მოხ-

– რა გითხრათ, ცოდვას ვერ ვიტყვი, რაც არ ვიცი, არ ვიცი და რაც არ მინახავს, მაგაზე რა გითხრათ? ისე, „ნაციონალების" მხრიდან ყველაფერს უნდა მოველოდეთ, გვაქვს ამის გამოცდილება.

**— თქვენ პარლამენტარი ბრძანდებით, საკმაოდ კარგად ხართ ჩახედული ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში და რას იტყვით, მართლაც უკანონოდ და კანონდარღვევით მოხდა უგულავას დაკავება?**

– რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, მანდ საუბარია ძალიან დიდ ფულზე, 79 მილიონ ლარზეა ლაპარაკი, ანუ ერთ ღამეში ბანკიდან იქნა გამოტანილი სახელმწიფო ფული, რომელიც იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული რესურსებისა და არჩევნებისთვის. ახლა, ამხელა თანხაზე და შესაძლო დანაშაულზე და უგულავას უფლებამოსილების შეჩერება, ჩვენ ვერანაირ ზეწოლას მოსამართლესა და სასამართლოს განაჩენზე ვერ მოვახდენდით? 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ეს ხდებოდა, მაგრამ ეს დღეს აღარ ხდება, ბატონებო, საქართველოში და იმედი მაქვს, რომ იმ ქვეყნებშიც, რომელთა წარმომადგენლებიც ამას ამბობენ, ანალოგიური დამოკიდებულებაა სასამართლოს გადაწყვეტილებასა და კანონის უზენაესობაზე. ბუნებრივია, ჩვენ პატივს ვცემთ ევროპულ ქარტიასაც, მაგრამ, ვიმეორებ, კანონის უზენაესობა არის ჩვენთვის უპირველესი.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი შინაარსის წერილი შესაძლოა, ნამდვილად გამოეგზავნათ საქართველოს მთავრობისთვის, თუ ესეც „ნაციონალების" მიერ არის შეთხზულ-შეხუჭუჭებული, როგორც მათ სჩვევიათ, ისე?**

– რა გითხრათ, ცოდვას ვერ ვიტყვი... რომ არის ლაპარაკი, რომელ უკანონობასა და კანონდარღვევაზე ლაპარაკობს „ნაციონალური" პარტია? მაქვს რეალური არგუმენტიც და საფუძველიც იმისა, ვიფიქრო, რომ ეს სწორი ნაბიჯია, მაგრამ რას ფიქრობს ვიქტორ დოლიძე, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რას ფიქრობს მოსამართლე, რომლის საქმიანობის განხორციელებაში ვერც დოლიძე და ვერც ვერავინ ვერ ჩაერევა. ეს არის ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია. კანდელაკი და მაგისი გუნდის წევრები შეჩვეული არიან იმას, რომ, როცა მოსწონთ მოსამართლის რაიმე გადაწყვეტილება, მაშინ ამბობენ, რომ აი, ხომ ხედავთ, სწორად გაამართლეს ახალაიაო. როცა არ მოსწონთ, მაშინ ამბობენ, სასამართლოზე ზეწოლა ხორციელდებაო. ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს კანდელაკი, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, დღევანდელმა ხელისუფლებამ სწორი და რეალური გზით იაროს.

**— ნაციონალებს რაც აქვთ, იმას ვერ წაართმევ, მათ იციან მუშაობა საკუთარ იმიჯზე და ინტერესების დაცვაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით უცხოეთში. ისინი საზღვარგარეთ ისეთ ხალხს პოულობენ და ისეთ წერილებს აგზავნინებენ, რის გამოც შემდეგ ხელისუფლებას უწევს თავის მართლება და ბოდიშის რეჟიმში ყოფნა. თქვენ, დღევანდელი ხელისუფლება, რატომ არ მუშაობთ ამ მხრივ? რატომ არ ხვდებით ამ ადამიანებს და რატომ არ აწვდით დოკუმენტებს, რეალურად რა ხდება საქართველოში? იგივე უგულავა რომ ჰაერზე არავის დაუჭერია და ხალხის მილიონები რომ აქვს წაცუნცულებული თავისი პარტიის ინტერესებისთვის, ეს არ იციან თქვენმა კოლეგებმა?**

– ვინ არ ჩადის? ხანდახან ორ კვირაში ერთხელ ვარ ბრიუსელში და ლონდონში, ან ვარ ქუთაისში და ან ვარ საზღვარგარეთ.

**— საზღვარგარეთ კი ხართ, მაგრამ დოკუმენტები თუ ჩაგაქვთ იქ და თუ აცნობთ სიტუაციას იმ ხალხს, რომ მსგავსი წერილები აღარ გამოგიგზავნონ?**

– როგორ არ ჩაგვაქვს? თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა და რა რთულად გვიჯდებოდა ამ ადამიანებისთვის რეალობის გაცნობა. ახლა გამომძიებელი და პროკურორი არ ვარ, რომ ვიარო ამ მასალებით, მე ვეუბნები იმ დარღვევებზე, რის გამოც დააკავეს. ჯერჯერობით სასამართლო მიმდინარეობს, განაჩენი არ დამდგარა და რა გავაკეთოთ? ის აზრი, რომ „ნაციონალები" მეტს მუშაობენ ჩვენთან შედარებით, მცდარია. რომ ჩავდივარ ქვეყნებში, ვხედავ, როგორ არის სიტუაცია შეცვლილი. ჩვენი იქაური კოლეგები ელოდებიან სასამართლო განაჩენს, თუ ეს პროცესი არ წავიდა კანონიერად, ამ შემთხვევაში ბუნებრივია, ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, მაგრამ ამის საფუძველი მათ ნამდვილად არ გააჩნიათ. თავიდან იყო გაუგებრობა, მაგრამ ახლა გადატეხილია სიტუაცია. ასე რომ, ყველაფერი მოგვარდება. საერთოდ, შუბლზე რომ ძარღვი გაუწყდება ადამიანს, მაშინ ბედავს ყველაფერს. ისინი რას ბედავენ, ეს არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ და ყველაფერს მოევლება.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მუსლიმან საზოგადოებასთან მუშაობას ახლა ვიწყებთო



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მუფტს, იასინ ალიევს შეხვდა.

ზაქარეიშვილის განცხადებით, ეს იყო გაცნობითი შეხვედრა იასინ ალიევთან, რომელიც ცოტა ხნის წინ, შურას მიერ იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია მასთან შეხვედრა და იმ პრობლემების გაცნობა, რაც არსებობს. საქართველო, პრაქტიკულად, ახლა იწყებს მუსლიმან საზოგადოებასთან მუშაობას. ადრე სხვა ფორმით, უფრო კარნახის ფორმით მიმდინარეობდა ეს ყველაფერი და ჩვენ გვინდა, რომ იყოს თანამშრომლობითი ფორმა. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და მაქსიმალურად გვინდა მათი ინტერესების როგორც შესწავლა, გაცნობა და ისე, რომ არ ჩავერიოთ მათ საქმიანობაში, მაქსიმალური მხარდაჭერა", – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, მუსლიმანური საზოგადოება ერთ-ერთი წამყვანი ნაწილია ქართული საზოგადოების და რაც უფრო მეტად იქნებიან ისინი ინტეგრირებულები, მით უფრო მდგრადი და განვითარებული იქნება საქართველო.

## სამცხე-ჯავახეთში 25 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, სამინისტრო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პროექტების განხორციელებას რამდენიმე მიმართულებით გეგმავს.

ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად 2014 წელს წყალკანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაცია გამოიკვეთა. შესაბამისი სამუშაოები დაიწყება ახალციხეში, წალვერში, ლიკანსა და ასპინძაში. წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. პროექტების საერთო ღირებულება 7 189 300 ლარს შეადგენს.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, სამინისტრო რეგიონში 3 800 000 ლარს დახარჯავს. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის, მლაშე-მოხე-დერცელის და ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზებს.

მიმდინარე წელს, პირველ ეტაპზე, სამცხე-ჯავახეთში სულ 11 570 015 ლარის ღირებულების 25 პროექტი დამტკიცდა. 18 პროექტი – გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია; 2 – წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; 5 – ეზოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ჯამში, 2014 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 13 565 800 ლარს დახარჯავს, ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებით 11 570 015 ლარს მიიღებენ, რომლითაც 25 პროექტს განახორციელებენ. საბოლოოდ, სამცხე-ჯავახეთში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 25 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. (ინტერპრესნიუსი)



# რა ფაქტები დამალეს „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშის ავტორებმა?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშს ეხმაურება და ამბობს, რომ ორგანიზაციის მიერ მომზადებულ დასკვნაში ტენდენციურობა შეინიშნება და ბევრი რამე ისე არ არის ასახული, რაც სინამდვილეში მოხდა.**

**„ალია“ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა:**

**— კონკრეტულად რა არის შეცვლილ-გადაკეთებული?**

– ვფიქრობ, შეგნებულად არის თავი არიდებული ანგარიშში იმ ფაქტებზე, რომელიც წინა ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგო და ადამიანის უფლებების შემლახველ ქმედებებს ეხება. საერთო კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულად თავის არიდებას რიგ საკითხებზე. კერძოდ ის დანაშაულები, რომელზედაც არის საუბარი თვითონ მოხსენებაში, არის წარმოჩენილი, როგორც ერთეული შემთხვევები და არა როგორც სისტემური დანაშაული. როდესაც ორგანიზაციის ანგარიშში საუბარია, რომ განადგურებულია 181 საათის ვიდეო თუ აუდიოჩანაწერი, ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ 180 ფაილი იყო აღმოჩენილი და სწორედ აქედან განადგურდა 181 საათის ვიდეომასალა. რომ ეხსენებინათ ფაილების რაოდენობა, ძალიან მარტივი იქნებოდა იმის მიხვედრა, რომ გადაღებულია ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი ასობით საათის ვიდეომასალა, რაც თავისთავად მიუთითებდა წინა ხელისუფლების სისტემურ და ორგანიზებულ დანაშაულზე. ანგარიშის მიხედვით, საერთო სურათი იქმნება, თითქოს რომელიმე ჩინოვნიკმა დაარღვია კანონი და შეაგროვა ეს ფარული ჩანაწერები.

**— ანგარიშში ასევე მითითებული იყო, რომ პატიმრების წამების ფაქტების გამოძიება ნელ ტემპში მიმდინარეობს და პროცესს გამჭვირვალობა აკლია. ამ ნაწილში თუ ეთანხმებით ანგარიშის ავტორებს?**

– ეს არის ძალიან ბუნდოვანი ნათქვამი, რომ წამებების ნაწილში გამოძიება ნელა მიმდინარეობდა და აკლდა გამჭვირვალობა. წამებები ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება, თუმცა როგორც გამონაკლისი შემთხვევა, და შემდეგ გამოძიება უზრუნველყოფს დამნაშავის დადგენასა და დასჯას. ანგარიშში უნდა ყოფილიყო შეფასება, რამდენად სისტემური ხასიათის იყო ეს დანაშაული და რომ ამის გამოძიებას სჭირდებოდა ასევე სისტემური მიდგომა. ეს კრიტიკა უნდა ყოფილიყო და არა ის, რომ ნელა მიმდინარეობდა პროცესი და აკლდა გამჭვირვალობა. „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშს აკლდა მთავარი ძარღვი და არ იყო მთავარი სიტყვა ნახსენები. ანგარიშში ნახსენები გახლდათ, რომ 8 თებერვალს აქციაში მონაწილეობდა ასობით საპროტესტო აქციის მონაწილე. ეს ადამიანები საპროტესტო აქციის მონაწილეები კი არა, პოლიტპატიმრები იყვნენ. რატომ აარიდეს ორგანიზაციის ანგარიშის მომხსენებლებმა თავი იმ ფაქტს, რომ ეს ადამიანები მოეხსენიებინათ როგორც პოლიტპატიმრები, ვერ გეტყვით. ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყანაში ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა ცნო ასეულობით ადამიანი პოლიტპატიმრად. დასკვნაში, რომ ჩაეწერათ, სააკაშვილის გამოსვლის დროს იქ იდგნენ პოლიტპატიმრებიო, ეს უკვე ყოფილი ხელისუფლების სისტემურ დანაშაულზე მიუთითებდა და დაადგენდა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდნენ ადამიანები. შეგნებულად არის ამოგდებული კონკრეტიკა იმ პირებისა, ვინც 8 თებერვლის აქციაზე იყო. ასეთი ტენდენციურობა ნამდვილად არის დასკვნაში.

**— გარკვეულ ტენდენციურობაზე მიუთითებს, ალბათ, ისიც, რომ ანგარიშში წერია შსს კავშირგაბმულობის სფეროს შენობებში სათვალთვალო კამერებს ინარჩუნებსო, როდესაც ეს კამერები წინა ხელისუფლების დროს იქნა შეძენილიც და დამონტაჟებულიც. თუ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ანალოგიურ დასკვნებს მიანიჭებს არაობიექტური ანგარიშის სტატუსს და განუმარტავს ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომ ყველაფერი არც ისეა, როგორც ეს დასკვნაში წერია?**

– გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ ასეთი ორგანიზაცია ვართ ჩვენ. სწორედ ჩვენ ვაკეთებთ მსგავსი ტიპის დასკვნებზე განცხადებას, არის თუ არა ანგარიშში გარკვეული მიკერძოებისა და ტენდენციურობის ნიშნები. თქვენ ახსენეთ შსს მიერ კავშირგაბმულობის ოფისებში არსებული სათვალთვალო კამერები. „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშში ნათქვამია, რომ შსს-ს დღემდე შენარჩუნებული აქვს აპარატურა, რომელიც სასამართლოს კონტროლის გარეშე უზრუნველყოფს ადამიანების თვალთვალს. ეს თვითონ ხელისუფლებამ გაკეთა განცხადება და თქვეს, რომ მათ ეს აპარატურა არ გაუნადგურებიათ, მაგრამ ანგარიშში არ არის ნახსენები, რა პერიოდიდან არის შენარჩუნებული აღნიშნული სათვალთვალო კამერები. ანგარიშის წაკითხვისას ვერ მიხვდება ადამიანი, ეს აპარატურა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან არის შეძენილი თუ წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა? ანგარიშის ამ ნაწილში გამოტოვებულია სიტყვა „წინა ხელისუფლება“ და არ არის ნათქვამი, რომ ეს აპარატურა სწორედ წინა ხელისუფლებამ შეიძინა. საერთო ჯამში, იკვეთება ტენდენცია, რომ ანგარიშში უგულებელყოფილი და იგნორირებულია ის ცალკეული ფრაზები, რომელიც წინა ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს ასახავს. ამას ჰქვა მიზანმიმართულად თავის არიდება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკანონობებზე.

**— ფაქტია, რომ მიკერძოებას აქვს ადგილი, რა უნდა მოიმოქმედოს არასამთავრობო სექტორმა, რომ მსგავსი დეზინფორმაციები არ გავრცელდეს ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების მხრიდან, როგორც „ჰუმან რაითს ვოთჩია“?**

– სწორედ ის უნდა გააკეთოს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რაც ჩვენ გავაკეთეთ, რომ მივუთითოთ ანგარიშში გახმოვანებულ შეცდომებსა და ტენდენციურობაზე. დასკვნა არის მეტ-ნაკლებად ობიექტური სხვა დასკვნებთან შედარებით, თუმცა საქმე გვაქვს იმ რეალობაზე თავის არიდებასთან, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში 9 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის „ჰუმან რაითს ვოთჩი“ ასეთ ლაფსუსებს შემთხვევით არ დაუშვებს, ეს შეიძლება გამოუცდელმა და დამწყებმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთოს. რატომ იმაზე არ არის კრიტიკა ანგარიშში, რომ ამ ქვეყანაში მუდმივად იყო დაპირება „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომ სამართლიანობა აღდგებოდა და ეს ამ ხელისუფლებამ არ გააკეთა? იმიტომ, რომ მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც რეჟიმი, გასამართლდება.

**— მაშინ რასთან გვაქვს საქმე, „ჰუმან რაითს ვოთჩი“ შეგნებულად ხუჭავს თვალს „ნაციონალების“ დანაშაულებრივ ქმედებებზე?**

– ყველაზე ნაკლებად ეს შეიძლება ითქვას ამ ორგანიზაციაზე, მაგრამ ამ ორგანიზაციის დასკვნაშიც კი, როდესაც მე ეს ტენდენცია დავინახე, ეს ჩემთვის იყო სერიოზული სიგნალი და ძალიან სერიოზული შეშფოთების საგანი. ადამიანის უფლებები არავის ხელში და მით უმეტეს, ასეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების ხელში არ უნდა იყოს პოლიტიკური მანიპულირების საშუალება.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

## ლარის ვარდნა, სავარაუდოდ, გაგრძელდება

ეკონომიკის ექსპერტ დემურ გიორხელიძის განცხადებით, გასაგებია ნოდარ ხადურის ოპტიმიზმი, თუმცა ფინანსთა მინისტრს ამის საფუძველი არ აქვს.

„ლარის კურსის ვარდნის საკითხი ყველას ეხება. საკმარისი არ არის მთავრობის წევრების განმარტებები. ჩვენ გვაქვს მკაცრი სტატისტიკა, ციფრები, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ეროვნულმა ბანკმა უკვე 430 მილიონი „გაისროლა“ კურსის სტაბილიზაციისთვის, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. კურსი 1,67-დან დაცემულია 1,77-მდე. არ არსებობს მექანიზმი იმისა, რომ კურსი უკან წამოვიდეს, თუ დიდი რაოდენობით დოლარები არ შემოვა ქვეყანაში. პირველი ამოცანა არის, რომ კურსი ამ დონეზე შევინარჩუნოთ. ამასთანავე, გასაგებია ნოდარ ხადურის ოპტიმიზმი, მაგრამ ამ ოპტიმიზმის საფუძველი მას არ აქვს, რადგან 400 მილიონ დოლარზე მეტის გაშვება მოხდა რეზერვებიდან სავალუტო ბაზარზე, თუმცა კურსის სტაბილიზაცია მაინც ვერ მოხერხდა“, – აღნიშნა გიორხელიძემ.

მისივე თქმით, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ეკონომიკის წინსვლაა.

„ფაქტის წინაშე ვდგავართ, რომ ეკონომიკაში არაფერი ხდება, ადამიანების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა ნულოვანია, შემოსავლებში არაფერი იცვლება და შესაბამისად, დაიძრა ლარი. შეშფოთებულმა იმპორტიორებმა, რომლებზეც დამოკიდებულია მთელი ქვეყნის ეკონომიკა წინმსწრები ტემპით დაიწყეს ფასების გაზრდა, რომ მოულოდნელობისგან თავი დაეზღვიათ. ლარის ვარდნა, სავარაუდოდ, გაგრძელდება, მაგრამ მთავარია ასეთი სწრაფი ტემპით არ იყოს. გაქცევა ასეთ რთულ სიტუაციაში სავალუტო კურსის არის აბსოლუტურად მიუღებელი, დაუშვებელი. როგორმე უნდა მოახდინოს მთავრობამ ლარის სტაბილიზაცია. მთავრობასაც და ეროვნულ ბანკსაც მართებთ მეტი განმარტებების გაკეთება, უფრო ცხადი უნდა იყოს მათი პოლიტიკა“, – აღნიშნა გიორხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა პროექტებით ჩავიდა ღარიბაშვილი დავოსში?



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ძალიან მნიშვნელოვანი ორმხრივი შეხვედრები გაიმართება, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობის.

მისი თქმით, დაგეგმილია შეხვედრები ძალიან მსხვილ და ძალიან სერიოზულ ინვესტორებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული წინადადებები, კონკრეტული პროექტები. ჩვენ კონკრეტულ ინვესტორებთან ახლა სწორედ იმ ეტაპზე ვართ, რომ მათი წინადადებები განვიხილოთ, ჩვენი პროექტები წარვუდგინოთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება გასული წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმიდან არის ის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, როგორიც არის „ტატა ჯგუფი“, შემოვიდა საქართველოში და განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციები. რაც შეეხება დაგეგმილ ორმხრივ შეხვედრებს, მე ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობა“ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს




როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ძალადობის ესკალაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ვილნიუსის სამიტის წინ რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაზე განხორციელებული ხანგრძლივი ზეწოლა“.

„სამწუხაროდ, მეზობელი სახელმწიფოებისა და, ამ შემთხვევაში, უკრაინის სუვერენიტეტის უგულებელყოფა და ევროპული ოჯახისკენ სწრაფვაში ხელის შეშლა რუსეთის ფედერაციის დეკლარირებული პოლიტიკაა. რომ არა უკრაინისთვის შანტაჟისა და ზეწოლის გზით თავსმოხვეული ეს მცდარი გადაწყვეტილება, ვილნიუსის სამიტზე ხელი მოეწერებოდა აღნიშნულ ხელშეკრულებას და სამოქალაქო დაპირისპირების ნაცვლად ეს სახელმწიფო ევროპის ცივილიზებულ ერთა ოჯახში გასაწევრიანებლად მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამდა.

ხაზს ვუსვამთ რა რუსეთის ხელისუფლების პასუხისმგებლობის უზარმაზარ წილს, აშკარაა, რომ ასეულობით ათასი უკრაინის მოქალაქის აზრის გაუთვალისწინებლობა და დიალოგის უუნარობა უშუალოდ იანუკოვიჩის ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ხალხთან დიალოგის ნაცვლად, უკრაინის მმართველმა ძალამ მიიღო არადემოკრატიული, რეპრესიული და კონფრონტაციული საკანონმდებლო გადაწყვეტილებების პაკეტი, რამაც შეზღუდა გამოხატვისა და სამოქალაქო თავისუფლებები და დაძაბულობის ესკალაციის იმპულსად იქცა. კიევის ქუჩებში იღვრება სისხლი.

საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, ჩვენი ვალია, სრული სოლიდარობა გამოვუცხადოთ უკრაინელი ხალხის მისწრაფებას თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებზე დამყარებული ევროპული ერების ოჯახისკენ. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ წინ აღუდგეს უკრაინის პუტინისეულ ევრაზიულ კავშირში შეთრევის ნებისმიერ მცდელობას.

უკრაინის თავისუფლება ჩვენი თავისუფლებაა!“. – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობაზე საბუთები 1-ლი თებერვლიდან მიიღება



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით, მსურველებს ამ დღეების განმავლობაში მიეწოდებათ დაწვრილებითი ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცნენ. 60%-იანი ფასდაკლების პროექტი განხორციელდება მხოლოდ იმ პაციენტებზე, ვისაც დიაგნოზი უკვე დადგენილი აქვს, ჩატარებული აქვს ყველა საჭირო კვლევა და, ფაქტობრივად, ხელში უჭირავს დანიშნულება. რამდენიმე ავტორიზებულ აფთიაქში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ამ მედიკამენტების ფასდაკლებით ყიდვა იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება დაწესებულ შეზღუდვასა და იმას, რომ მედიკამენტები ფასდაკლებით არ გაიცემა იმ პირებზე, ვინც ვარაუდობს, რომ „ცე“ ჰეპატიტი აქვს, ან დაუზუსტებელი გენოტიპი, ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ეს ფასი მსოფლიოში, ეგვიპტის შემდეგ მეორე ადგილზეა სიიაფით და შეზღუდვაც იმის გამო დაწესდა, რომ არალეგალური გადაყიდვა არ მომხდარიყო და ნებისმიერს არ შეძლებოდა ამ ფასად მედიკამენტების ყიდვა და სხვა ქვეყანაში უფრო ძვირად გაყიდვა.

სერგეენკო საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გავრცელებულ იმ ინფორმაციასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეები „ცე“ ჰეპატიტზე უფასოდ ვეღარ იმკურნალებენ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ყველა ქვეყნის მთავრობა გადაწყვეტილებას მისი ინტერესებიდან გამომდინარე იღებს და ესეც საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებაა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



გერონტი აშორდია

# ახალი მთავარი პროკურორი თავის ნამდვილ ბიოგრაფიას მალავს?

„საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ახალი მთავარი პროკურორის ბიოგრაფია, სადაც აღნიშნულია, რომ ბატონი გიორგი ბადაშვილი 2013 წლის მაისიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მივიღეთ 2013 წლის 31 ოქტომბერს გამოცემული წერილი №60953/11 საქმეზე გადაწყვეტილების შესახებ, სადაც ამავე სასამართლოს სახელით ხელს აწერს სასამართლოს იურისტი რეფერენტი ბ-ნი გიორგი ბადაშვილი.

აქსიომურია, რომ გიორგი ბადაშვილი 2013 წლის ოქტომბრის თვეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისტი-რეფერენტისა და შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე ერთდროულად ვერ იქნებოდა, რამეთუ „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“ პრინციპი ევროსასამართლოსთვის უცხოა.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ბადაშვილი ნამდვილად იყო იურისტი-რეფერენტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მაშინ გაყალბებულია მისი ბიოგრაფია. თუ არ იყო იურისტი რეფერენტი, მას ევროპული სასამართლოს სახელით სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ან კორესპონდენციებზე ხელმოწერის უფლება არ ჰქონდა და შესაძლებელია, საქმე გვაქვს უარესთან, კერძოდ, ხელისუფლების მიერ ჩადენილ სიყალბესთან ან ევროსასამართლოში კორუფციის შეტანასთან, მოსარჩელეებისთვის/დაზარალებულებისთვის რეაბილიტაციის, რესტიტუციის ან კომპენსაციის უფლების ხელოვნურად აღკვეთის მიზნით იმ საქმეებზე, რომელთა გამოთხოვაზე იუსტიციის მინისტრმა ევროსასამართლოს მიმართა მოსარჩელეებთან მორიგების აბსურდული მოტივით“.

**აღნიშნული ინფორმაცია „ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული და სამართლიანი საქართველოს“ თავმჯდომარემ, გერონტი აშორდიამ მიაწოდა. ამიტომ მას დეტალების დასაზუსტებლად დავუკავშირდით:**

**— ბატონო გერონტი, როგორ აღმოაჩინეთ ეს დოკუმენტი?**

– მე მაქვს მხოლოდ ის დოკუმენტი, რომელიც მოგაწოდეთ. რამდენჯერმე დამიკავშირდნენ და მკითხეს, ეს ბადაშვილი სხვა ხომ არ არისო? დიახ, ისაა, რადგან სხვა გიორგი ბადაშვილის თაობაზე არავინ იცის არაფერი. ასეთი დოკუმენტები, გიორგი ბადაშვილის ხელმოწერით, უამრავია საქართველოში და ყველა აბსურდული, დაუსაბუთებელი და მასში მითითებულ 34-ე და 35-ე მუხლებთან შეუსაბამო.

**— რატომ მიმართეთ ბადაშვილს სტრასბურგში, რა საქმეებზე მუშაობდა?**

– მისთვის არ მიგვიმართავს. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არიან საქართველოდან წარდგენილი კადრები, იურისტი-რეფერენტები, რომლებიც სასამართლო განხილვისთვის ამზადებენ საქმეებს და მათთან მოსარჩელეებს არავითარი ურთიერთობა არ აქვთ. სტრასბურგის სასამართლოში იყო ჩვენი სარჩელი რეგისტრირებული და ამზე გაგვაჩნია 2011 წლის 8 დეკემბრის დოკუმენტი იურისტი-რეფერენტის, ნინო ხაინდრავას ხელმოწერით. როდესაც გამოვთქვი პროტესტი, რომ თეა წულუკიანი ახდენდა სარჩელების დაბლოკვას, მხედველობაში მქონდა ის დოკუმენტი, რომელიც თქვენ იხილეთ. იქნებ სულაც არაა ეს გიორგი ბადაშვილი ის, ვინც აღნიშნულ დოკუმენტზე აწერს ხელს, მაგრამ ვერც ის ადამიანი ვნახე, რომელიც სხვა გიორგი ბადაშვილს იცნობს.

**— ანუ ბადაშვილი თეა წულუკიანის კადრია და საფრანგეთიდან იცნობს?**

– არ ვიცი, მაგრამ უდავოა, რომ ერთმანეთს კარგად უნდა იცნობდნენ, რამეთუ სარჩელების დაბლოკვა თავის თავზე ხომ თეა წულუკიანმა მოახდინა. მგონი, თეა დააკვალიანებდა მას და ასწავლიდა, როგორ ეშოვა სტრასბურგში ბინის შესაძენი ფული. სტრასბურგში გაიცნო, თუ აქ გააცნეს და დაავალეს, იქ გზა გაუკვალეო, არ ვიცი.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

T: +33 (0)3 88 41 20 18
F: +33 (0)3 88 41 27 30
www.echr.coe.int

ბ-ნ გერონტი აშორდიას
თამარ მეფის ქ. № 84
4400, ფოთი, საქართველო
4400, Poti, GEORGIE

ECHR-LGeo11.00R
GBI/msh

სტრასბურგი, 31 ოქტომბერი 2013 წ.

საქმე nº 60953/11
Ltd 'Grisha Ashordia' v. Georgia

ბატონო გერონტი,

წინამდებარე წერილი გეგზავნებათ თქვენს მიერ 2011 წლის 22 სექტემბერს შემოტანილ და ზემოაღნიშნული ნომრით დარეგისტრირებულ საჩივართან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ერთი მოსამართლის შემადგენლობით (A. Gyulumyan, კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად მოქმედი მომხსენებლის თანამშრომლობით), იხილავდა ზემოხსენებულ საჩივარს 2013 წლის 10 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრამდე. განხილვის შედეგად, 2013 წლის 24 ოქტომბერს, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამ საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ.

სასამართლომ, მის ხელთ არსებული საქმის მასალების ერთობლიობაში შესწავლის შედეგად და იმდენად, რამდენადაც ის უფლებამოსილი იყო განეხილა თქვენი სასარჩელო მოთხოვნები, დაასკვნა, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებდა კონვენციის 34-ე და 35-ე მუხლებით დადგენილ მისაღებობის კრიტერიუმებს.

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება არც სასამართლოს და არც სხვა რომელიმე ორგანოს წინაშე. გთხოვთ, აგრეთვე მიიღოთ მხედველობაში, რომ სასამართლოს სამდივნო ვერ მოგაწოდებთ სხვა ინფორმაციას ერთი მოსამართლის მოსაზრებების შესახებ და ვერც მოცემულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ თქვენს წერილებს გასცემს პასუხს. თქვენ სასამართლოდან აღარ მიიღებთ რაიმე სხვა საბუთს ამ საქმის შესახებ და, მისი ინსტრუქციის შესაბამისად, საქმე განადგურდება **გადაწყვეტილების მიღების დღიდან** ერთი წლის შემდეგ.

წინამდებარე წერილი გეგზავნებათ სასამართლოს რეგლამენტის 52A მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,
სასამართლოს სახელით

G. Badashvili
გიორგი ბადაშვილი
იურისტი რეფერენტი

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUNCIL OF EUROPE
67075 STRASBOURG CEDEX

COUNCIL OF EUROPE

COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
CONSEIL DE L'EUROPE
67075 STRASBOURG CEDEX

**„ალია“ კომენტარისთვის მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თემურ დოლიძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო თემურ, დოკუმენტი მომაწოდეს და გვიმტკიცებენ, რომ ბატონ ბადაშვილს სტრასბურგში უმუშავია და ეს ოფიციალურ „სივი“-ში არ უწერიაო. ამის შესახებ იცით რამე?**

– სხვა გიორგი ბადაშვილი იქნება, ახალ მთავარ პროკურორს სტრასბურგში არ უმუშავია.

**გერონტი აშორდიას პროკურატურის პასუხი გავაცანით, რაზეც გვიპასუხა: „ორი დღეა, ვარკვევ მაგას და მეუბნებიან, ერთი და იგივეაო. შევეცდები დავამტკიცო ეს და მერე რა პასუხს გამცემენ, მაგას ვნახავთ...“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავარმა პროკურორმა პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა



საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი მოადგილეებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და ოლქის პროკურორებს შეხვდა. პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, მთავარმა პროკურორმა იმ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, რომელიც საქართველოს პროკურატურამ მისი ხელმძღვანელობით უნდა განახორციელოს. მან აღნიშნა, რომ პროკურორების საქმიანობის მთავარი პრინციპები სამართლიანობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა იქნება. მისი თქმით, პროკურატურა ორიენტირებული იქნება მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებასა და გაძლიერებაზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და წარმატებული თანამშრომლების წახალისებაზე.

მთავარი პროკურორი დარწმუნებულია, რომ პროკურატურის სისტემაში მომუშავე პროფესიონალ გუნდთან ერთად შეძლებს არსებული გამოწვევებისა და სირთულეების გადალახვას და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ დაცვას. (ინტერპრესნიუსი)

## საკრებულოს უმრავლესობა ბიუჯეტის განხილვის პროცედურებს განმარტავს



თბილისის ბიუჯეტის თემას საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელი კოკი იონათამიშვილი გამოეხმაურა. მისი განმარტებით, საკრებულოს სხდომაზე გატანამდე ბიუჯეტის პროექტი კომისიებსა და ფრაქციებში უნდა იქნას განხილული.

„მოგეხსენებათ, ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში მხოლოდ ორი დღეა რაც შემოვიდა და ქალაქის 785-მილიონიანი მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესწავლასა და განხილვას გარკვეული დრო სჭირდება. სხვა შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვიქნებით კომპეტენტურები. საკრებულოს სხდომამდე ბიუჯეტი საკრებულოში არსებულ ყველა კომისიასა და ფრაქციებში განიხილება. ამასთანავე, იქნება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები როგორც მერიის შესაბამისი სამსახურების, ასევე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ყველა ამ პროცედურის გავლის შემდგომ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის თაობაზე უკვე საკრებულოს სხდომაზე ვიმსჯელებთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ“, – განაცხადა კოკი იონათამიშვილმა.

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, დავით ჯინჭარაძის განცხადებით, კოლეგების მხრიდან არაკომპეტენტურობაზე საუბარი უხერხულია, რადგან ბიუჯეტი საკრებულოში რეგლამენტის დარღვევით იქნა შემოტანილი.

„რეგლამენტის თანახმად, საკითხი საკრებულოში განსახილველად სხდომამდე 10 ან 7 დღით ადრე უნდა იქნას შემოტანილი. ამ ეტაპზე, კი მისი საკრებულოში შემოტანა სხდომამდე მხოლოდ ორი დღით ადრე მოხდა. დედაქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის კომისიებსა და ფრაქციებში განხილვისთვის ეს ვადა საკმარისი არ არის. ბიუჯეტის პროექტის სხდომაზე გამოტანა მხოლოდ ყველა კომისიასა და ფრაქციაში განხილვის შედეგად დადებული დასკვნების შემდგომ იქნება შესაძლებელი, თუმცა, აქვე მინდა დავამატო, რომ, თუ ეს ყველაფერი საკრებულოს უახლოეს სხდომამდე მოესწრება, შესაძლოა, მისი ამ სხდომაზე გატანაც მოხერხდეს“, – აღნიშნა ჯინჭარაძემ. (ინტერპრესნიუსი)


ირაკლი ვაჭარაძე

შაულო ადამიანის უფლებათა დარღვევაში. ხელისუფლებაში რომ იყვნენ, მაშინაც ხომ შეეძლოთ, მაშინ მაინც დავეცავით, 2012 წელს. ამიტომ ასეთ დამოკიდებულებას მე პარტიული ნიშნით კი არ ავხსნი, არამედ ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნით.

**— რამდენიმე ცნობილი სახე გამოავლინეთ და მხარდაჭერისთვის ემადლიერებით, მათ შორის პარლამენტის დეპუტატებსაც. რა ნიშნით შეარჩიეთ ეს ადამიანები?**

– ვფიქრობ, ახლა უკვე შემიძლია ღიად გამოვხატო ჩემი პირადი დამოკიდებულება დღევანდელ ნომინანტებთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, დავით არა მარტო ამ ოთხ სახელმწიფო მოხელეს, მიუხედავად ჩემ მიერ მათი ხანდახან მწვავე კრიტიკისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ადამიანის უფლებათა წინ წამოწევის საქმეში, რისთვისაც მე, ერთი მოქალაქე, მათი უზომოდ მადლობელი ვარ. ხალხს ვკითხეთ აზრი და ამის მიხედვით შეირჩა დაჯილდოებული ადამიანები. იმის მიუხედავად, რომ 17 მაისს ჩვენ მათ ეფექტურად ვერ დაგვიცვეს, გამოხატეს ანტიდისკრიმინაციული დამოკიდებულება. ეს დაეხმარება ჩვენს საზოგადოებას და გააცნობიერებენ, რომ ძალადობა ვნებს ყველას, რადგან ის დანაშაულს სჩადის იმის გამო, რომ ან შეგნება არ

**— ხელისუფლების პირობებში უფრო მეტი გრანტი გაქვთ მოპოვებული, ვიდრე ადრე, ანუ 17 მაისის შემდეგ უფრო საინტერესო გახდით დონორებისთვის. რატომ?**

– არ ვთვლი, რომ ასეა, უბრალოდ, ჩვენ 3 წელი შეგვისრულდა, ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, განვითარდა და ამის გამო მითები გავრცელდა ჩვენზე. ჩვენ ზუსტად ისე ვმონაწილეობთ კონკურსებში, როგორც სხვები მონაწილეობენ. უბრალოდ, ჩვენი პროფესიონალიზმი უფრო აქტიურად მუშაობს და დიახ, გაიზარდა დაფინანსება. თანამშრომელთა რაოდენობაც გაიზარდა და ვთვლი, რომ, თუ ვარ გონიერი ადამიანი, შემიძლია პრობლემის წინ წამოწევა და მასზე მუშაობა, ნებისმიერ ორგანიზაციაში ვიმუშავებდი. ფული ხიდან არ იკრიფება, ამიტომ ასეთ რამეს ისეთი ადამიანები უსვამენ ხაზს, რომლებიც ვერ ახერხებენ პროფესიონალიზმის დანახვებას მათთვის. ყველაფერს გრანტით კი არ ვაკეთებთ, ხანდახან ჩვენს ფულს ვხარჯავდით.

# საქართველოს მოსახლეობის 12-13% პედერასტი და 10% ლესბოსელია?

## რისთვის ემადლიერება „ლგბტ“ ორგანიზაცია უსუფაშვილს, წულუკიანს, თამარ ჩუგოშვილსა და თამარ კორძაიას?

**საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის თემა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „ჰუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშში მოხვდა. ამასობაში კი ირკვევა, რომ „ელგებეტე“-თა უფლებადამცველმა ორგანიზაცია „იდენტობამ“ ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ორგანიზაციამ ფილიალების გახსნა რეგიონებშიც დაიწყო...**

**„ალიას“ „იდენტობის“ ხელმძღვანელი ირაკლი ვაჭარაძე ესაუბრა:**

**— „ნაციონალების“ დროს წახალისებულ ჯგუფად ქცეული სექსუალური უმცირესობა, როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებაში უფრო ფრთებგაშლილია. ვიღაც უფრო სერიოზული ლობისტები გყავთ, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს?**

– ვერ დაგეთანხმებით. „ნაციონალების“ თემაზე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ამ ჯგუფის უფლებები ზუსტად იგივენაირად ირღვეოდა, როგორც ამ ხელისუფლების დროს, უბრალოდ, „ნაციონალები“ ამ თემაზე ღიად არასდროს საუბრობდნენ და ამ ხელისუფლებამ გაბედა და თქვა, რომ „ლგბტ“ ადამიანებიც ადამიანები არიან და მათ აქვთ უფლება, იყვნენ დაცულნი.

**— „ნაციონალები“ ახლაც გიჭერენ მხარს და ეს როგორ?**

– არ არის ეს მართალი, არ ვეთანხმები ამ შეფასებას, „ნაციონალებიც“ ამბობენ და ხელისუფლებაც, რომ არ შეიძლება ადამიანის დაჩაგვრა. ერთი ნაბიჯით წინ წავედით. როცა ხელისუფლებაში ხარ, სხვა მომენტია, მაგრამ, როცა ოპოზიციაში ხარ, პოლიტიკურად მომგებიანიც არის, რომ ხელისუფლება დაადანაშაულო ადამიანის უფლებათა დარღვევაში. ...

უსუფაშვილი უდავოდ იმსახურებდა ამ ჯილდოს, რადგან ის იყო არაჩვეულებრივად გონიერი, როდესაც „ლგბტ“ უფლებებზე მსჯელობდა. თეა წულუკიანი იყო ის ადამიანი, ვინც პირველად გაბედა და ძალიან ღირსეულად და მშვიდად ახსნა, რომ „ლგბტ უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. თამარ ჩუგოშვილმა გაუძლო არნახულ ზეწოლას და ასევე, განსაკუთრებული თანმიმდევრობით ყოველთვის იქ იდგა, სადაც კარგი ადამიანი და პროფესიონალი იურისტი უნდა იყოს. ხოლო თამარ კორძაია არ შეუშინდა არც ამომრჩევლების განაწყენებას, არც თავისი პოლიტიკური გუნდის მხრიდან სავარაუდო ზეწოლას და სამაგალითო იყო უმრავლესობის წევრ პარლამენტარებს შორის 2013 წელს. ერთი სიტყვით, ამ ოთხ და ჰყოფნის, ან ვიღაცამ წააქეზა.

**— როგორ გაიგებს საზოგადოება მისი ხელისუფლების მხრიდან ასეთ მხარდაჭერას არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ?**

– მე არავინ მხარს არ მიჭერს, თეა წულუკიანის მხარდაჭერა იყო იურისტის მიერ გამოხატული პოზიცია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართ, ამიტომ მკითხველმაც ადეკვატურად უნდა გაიგოს. ამას რად უნდა სხვანაირი განმარტება?

**— ამბობენ, რომ გაფართოებას აპირებთ და მაგალითად, ზუგდიდში ფილიალი გაქვთ უკვე.**

– ჩვენ მხოლოდ თბილისში გვაქვს ჯერ ოფისი და სხვა ორგანიზაციული გაფართოება არ იგეგმება. თუ ვინმემ გახსნა, არ ვიცი, რადგან ამის შესახებ მეც გავიგე.

**— როგორც ვიცი, ამ ხე**...

**— გაქვთ ოფიციალური მონაცემები, რამდენი გეი გვყავს ქვეყანაში?**

– მოდი, ასე ვთქვათ, ყველაზე კონსერვატიულ ქვეყნებშიც ჰყავთ საკმარისი რაოდენობა. რაც შეეხება საქართველოს, მათი რიცხვი 12-13%-ია. ყველაზე ცოტა, 100 კაცში 2 გეი და ერთი ლესბოსელია, ანუ ყველა მეათე არის გეი. ეს რაც დეკლარირებულია, რადგან ზოგი მალავს ამას, ან ბისექსუალია.

**ჟანა ასანიძე**
**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პორტუგალიაში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს



პორტუგალიაში „პირველი ქართული ასოციაციის“ დამაარსებლის ირაკლი ბარამიძის თქმით, პორტუგალიაში, ლისაბონის აეროპორტში საქართველოს მოქალაქე გიგა ა. რომელსაც დეპორტაცია ემუქრებოდა, გარდაცვლილი იპოვეს.

ბარამიძის ცნობით, გიგა ა. პორტუგალიაში 2011 წელს ქურდობის მცდელობისთვის დააკავეს და სასჯელს პორტუგალიაშივე იხდიდა, თუმცა 2014 წელს დეპორტი ემუქრებოდა და იგეგმებოდა მისი საქართველოში ექსტრადიცია.

მიუხედავად საემიგრაციო სამსახურის განცხადებისა, რომ გიგა ა.-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ბარამიძე ვარაუდობს, რომ საქართველოს მოქალაქე მოკლულია. (ინტერპრესნიუსი)

## დიმიტროვი სოფელ ღოღეთს ესტუმრება




ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის ელჩი, ფილიპ დიმიტროვი 23 იანვარს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრისპირა სოფელს, ღოღეთს ესტუმრება.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ცნობით, ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით ღოღეთში მცხოვრებ 77 ოჯახს გადაეცემა ფინანსური და სხვა მატერიალური დახმარება, რომელიც ზამთრის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალ მთავარ პროკურორს მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილი ენდობა?

პარტია „თავისუფალ საქართველოში“ მიიჩნევენ, რომ ახალ მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ენდობა.

პარტიის განცხადებით, გიორგი ბადაშვილი მთავარი პროკურორისთვის საჭირო ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს.

„საინტერესოა, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა პრემიერმა, როცა მთავარ პროკურორად „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდის ფინანსური პოლიციის თანამშრომელი დანიშნა (2006-2013 წწ). ლეგიტიმურია საზოგადოებაში გაჩენილი კითხვები ახალი მთავარი პროკურორის წარსულზე, ვინაიდან ამ უწყების ძირითად საქმიანობას ბიზნესის ტოტალური რეკეტი წარმოადგენდა. ზოგადად, მიუღებელია პროკურატურის სისტემაში ყოფილი პოლიციელებისა და ოპერატიული თანამშრომლების დანიშვნა: პროკურატურის თანამდებობებს უნდა იკავებდნენ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტები“, – აცხადებენ პარტიაში.

მათივე თქმით, იმავდროულად მთავარი პროკურორი უნდა იყოს პირი, რომელსაც ექნება მაღალი ნდობა საზოგადოებაში, რათა მისი მიუკერძოებლობა და გადაწყვეტილებების კანონიერება ეჭვს არ იწვევდეს.

„გიორგი ბადაშვილს კი ქართველი საზოგადოება, მათ შორის, იურისტთა საზოგადოება საერთოდ არ იცნობს და ის მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილთან პირადი მეგობრობის მიხედვით შეირჩა. რამდენადაც ცნობილია, მას არ იცნობს, აგრეთვე, იუსტიციის მინისტრი, თუმცა კანონით სწორედ მას ეკისრებოდა მთავარი პროკურორის შერჩევა“, – აცხადებენ პარტიაში. (ინტერპრესნიუსი)

## ტელეკომპანია „სამეგრელოს“ ლიცენზიები გაუუქმდა




საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია „სამეგრელოს“ კერძო მაუწყებლობის □B121 და □B122 ლიცენზიები გააუქმა.

კომისიის ინფორმაციით, ტელეკომპანიის ლიცენზიების გაუქმებას კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები დაედო საფუძვლად.

შემოწმების შედეგად, გაირკვა, რომ „სამეგრელო“, რომელიც ფლობდა სამაუწყებლო ლიცენზიებს ქ. ზუგდიდსა და ქ. სენაკში, 2013 წლის 4 ივლისიდან, 132 დღის განმავლობაში არ ახორციელებდა მაუწყებლობას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი (90 დღე) ვადით ან ერთი წლის განმავლობაში 120 დღით, ლიცენზიის გაუქმების საფუძველი ხდება.

სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიისთვის სამაუწყებლო ლიცენზიების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ექსპერტი



ექსპერტი რამაზ საყვარელიძე

# ღარიბაშვილისა და ჭიკაიძის ვიზიტებზე და მინისტრების შემცირებულ ხელფასებზე

**მიმდინარე მოვლენებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს:**

**— ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფება. შარშან ბიძინა ივანიშვილს ისეთი არაფერი ჩამოუტანია, რომ ქვეყანას დასტყობოდა. ღარიბაშვილის ვიზიტი რა შედეგით შეიძლება დასრულდეს?**

– სამწუხაროდ, ასეთ ფორუმებს მყისიერი შედეგი არ ახასიათებს. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ამ ფორუმზე დადებითი განწყობილება შეიქმნება ქართული დელეგაციის მიმართ და ეს მოგვცემს შედეგს რამდენიმე წლის, ან საუკეთესო შემთხვევაში რამდენიმე თვის შემდეგ. სწორედ ეს არის მიზანი დელეგაციისა, როდესაც მიდიან ხოლმე მსგავს ფორუმებზე.

**— შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ინგლისში იმყოფება, სადაც „სკოტლანდ-იარდის" ოფისის ხელმძღვანელთან, ასევე ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს ხელმძღვანელთან შეხვედრებს მართავს. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ შს მინისტრი ინგლისში ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი პირების საქმიანობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად წავიდა? ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ დავით კეზერაშვილს ინგლისში საკმაოდ ძვირადღირებული სახლი აქვს და დაპატიმრებამდე საფრანგეთში სწორედ ინგლისიდან ჩავიდა.**

– ასეთ საერთაშორისო კონტაქტებსა და შეხვედრებს, გარდა ზოგადი შეთანხმებისა, რა თქმა უნდა, კონკრეტული მიზნები აქვს ხოლმე და ნამდვილად არ გამოვრიცხავ თქვენ მიერ ნათქვამ ვერსიას, მით უფრო იმ ფონზე, როცა ღარიბაშვილი შს მინისტრობის დროს მსგავსი ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთში კოლეგებთან შესახვედრად და სწორედ ამის შემდეგ წამოიწია კეზერაშვილის საქმემ. ამიტომ შანსი, რა თქმა უნდა, დიდია, რომ ალექსანდრე ჭიკაიძე სწორედ ყოფილი ჩინოვნიკების უკანონო ქონებასა და დანაშაულებრივ ქმედებებზე ინფორმაციის მისაღებად იყოს წასული ინგლისში.

**— გადმოვინაცვლოთ საქართველოში, როდესაც პრეზიდენტ მარგველაშვილს კითხვა დაუსვეს ახალ მთავარ პროკურორთან დაკავშირებით, უპასუხა, არც წინა პროკურორს ვიცნობდი და არც ახალს, ამაზე საკუთარი აზრის გამოთქმა მნიშვნელოვნად არ მიმაჩნიაო. კონსტიტუციით ხომ ის მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტია. არ უნდა იცოდეს, ვინ არის მთავარი პროკურორი?**

– ვერ ვიტყვი, კონსტიტუცია ისეა აწყობილი, რომ ამის შემდეგ მოვლენების ნორმალურ ლოგიკაზე ვიმსჯელოთ. სამწუხაროდ, ჩვენი ამჟამინდელი კონსტიტუცია ბევრი წინააღმდეგობრივი მომენტისგან შედგება და ეს ამჟამად ყველაზე მეტად გიორგი მარგველაშვილის სტატუსს ეხება. ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტი ამ კონსტიტუციით სუსტი პოზიციების მქონეა, მაგრამ ამავე დროს ვალდებულია, პარლამენტში ანგარიში წაიკითხოს. რის ანგარიში უნდა წაიკითხოს, როდესაც მას კონსტიტუცია არაფრის საშუალებას არ აძლევს? ამიტომ თუკი ის კომენტარს არ გააკეთებს ისეთ საკითხზე, რომელიც მის ფუნქციებში არ შედის, ამაში დანაშაული არაფერია.

**— „ალია" წყაროზე დაყრდნობით წერდა ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. რამე იცით ამის შესახებ?**

– ქვეყნის ორ უმაღლეს პირს შორის დაპირისპირება რომც იყოს, ესეც კონსტიტუციის ალოგიკურობით არის გამოწვეული. ჩვენი კონსტიტუცია ძალიან წააგავს საფრანგეთის კონსტიტუციას, სადაც ძალიან ხშირია დაპირისპირება პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ეს დაპირისპირება არ არის პიროვნული, ვინაიდან მისი საფუძვლები კონსტიტუციაში დევს. როდესაც ერთი და იგივე ფუნქციებით რამდენიმე ადამიანია აღჭურვილი, ყოველთვის არის გარკვეული უკმაყოფილება და კონფლიქტი. ეს ძალიან ჰგავს სამზარეულოში ორი ქალის ყოფნას.

**— მთავრობის წევრებს შეუმცირდათ ხელფასები და ამის შესახებ მედიასაშუალებებისგან შეიტყვეს. სამთავრობო გუნდი ამ პრობლემის მომგვარებელი, თუ მოუწევს ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტის გადახალისება?**

– როგორც ვატყობ, არც მაგაში იქნება ბატონი პრემიერი მორიდებული. თუკი დასჭირდება, გადაწყვეტილების მიღების უნარი აშკარად აქვს. ის, რომ არ არიან კოორდინირებული მთავრობის წევრები და რომ არსებობს ფარული

**ეს ნორმალური პროცესია?**

– გეთანხმებით, ეს მორიგი მაგალითია იმისა, რასაც მედია ხშირად საყვედურობს ამ ხელისუფლებას, არ არის ხელისუფლება საკმარისად ორგანიზებული. მთავრობაში არის ძალიან ბევრი დეზორგანიზებული რგოლი, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს თუნდაც თქვენ მიერ მოყვანილ მაგალითში. გარდა ამისა, ხშირად ვხედავთ, რომ მთავრობაში სხვადასხვა განცხადებას აკეთებენ ერთი გუნდის წევრები. ეს დღევანდელი ხელისუფლების სერიოზული ხარვეზია, თუმცა ეს პრობლემა ყველა ხელისუფლებას ჰქონდა საქართველოში. გამოსწორდება თუ არა ეს ხარვეზი, ვერ გეტყვით, თუმცა იმდენად ხშირად ხდება, რომ არც უნდა გაგვიკვირდეს.

**— რატომ აგრძელებენ ამ უვარგის ტრადიციას, რით ვეღარ დაალაგეს სიტუაცია?**

– რა თქმა უნდა, მისახედია ეს საქმე, რადგან ამ ცუდ ტრადიციას ბევრი ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ღმერთმა დაგვიფაროს კიდევ მსგავსი მოვლენისგან, მაგრამ არაორგანიზებულობის ბრალი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. ამიტომ, ეს ხარვეზი სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

**— როდესაც პოლიტიკურ პროცესებს ადევნებთ თვალს, რა ტენდენციას ხედავთ? არის** დაპირისპირება, ეს ნორმალურია და მინდა გითხრათ, რომ ჩანს კიდეც. არ არსებობს სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც ფარულ დაპირისპირებაში არ არის მეორე უწყებასთან. ეს გარკვეულწილად კარგიც არის, რადგან ამ დროს იზრდება შიდა კონკურენცია, თუმცა აქვე ხელისუფლების ვალია, რომ ამ დაპირისპირებას არ შეეწიროს გასაკეთებელი საქმე. ჯერჯერობით არ დგას საკითხი ისე, რომ შიდა ფარულ დაპირისპირებებს საქმე ეწირებოდეს, ვნახოთ, დრო გვიჩვენებს.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლარის კურსის გამო წამლები მნიშვნელოვნად არ გაძვირდებაო





ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ლარის კურსის ვარდნის გამო მედიკამენტებზე ფასების მნიშვნელოვან მომატებას არ ელოდება, რადგან ლარის კურსის ცვლილების გავლენა დამოკიდებულია იმაზე, როგორი კონტრაქტია გაფორმებული.

მინისტრის განმარტებით, არის კონტრაქტები, რომლებშიც ლარია ჩადებული. ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენია, რომ მერყეობამ მედიკამენტების ფასზე რაიმე გავლენა იქონიოს, თუმცა, სადაც კონვერტირებული ვალუტაა ჩადებული, მაგალითად, დოლარი ან ევრო, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, იგივე პროცენტით იმოქმედებს, როგორიც არის ლარის კურსი.

„მე არ ვარ ამის სპეციალისტი, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ლარის კურსის აწევამ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წამლების გასაყიდ ფასზე", – აღნიშნა სერგეენკომ. (ინტერპრესნიუსი)

## თურქეთში არსებულ ქართულ ძეგლებზე ერთად იზრუნებენ





საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში ქართული მხარე აქტიურად მონაწილეობს.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ელჩს თურქეთში, ირაკლი კოპლატაძეს და აღნიშნა, რომ შესაბამის პროცესში ისიც აქტიურად არის ჩართული. მარგველაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარტო გასული წლის განმავლობაში ქართველ ექსპერტთა დელეგაციის 5 ვიზიტი შედგა თურქეთში.

„მინდა გითხრათ, რომ თურქეთში ვიზიტისას შევხვდი იმ დაბებისა და სოფლების ადგილობრივ მოსახლეობას, გავესაუბრე ძეგლების მნიშვნელობაზე და მადლობა გადავუხადე, რომ უვლიან მათ რამდენადაც შეუძლიათ და პატივს სცემენ ამ ძეგლებს", – აღნიშნა მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მოქალაქემ საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრებმა ნელი ქ-მ საბრძოლო მასალა წარადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა.

შსს-ს ცნობით, მოქალაქის მიერ ჩაბარებულია „პე-გე 7 ემ"-ის ტიპის ჭურვი, „ერ-გე 42"-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა, „ეფ 1"-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა, „კალაშნიკოვის" კონსტრუქციის ავტომატისთვის განკუთვნილი 160 საბრძოლო ვაზნა და 6 მჭიდი. (ინტერპრესნიუსი)

ექსკლუზივი

# რატომ გადავიდა საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი გაძლიერებულ რეჟიმზე?



საქართველოს ანტიტერორისტული სამსახური და ძალოვანი სტრუქტურები გაძლიერებულ მუშაობაზე გადავიდნენ. ფაქტია, რომ კიევში დატრიალებული მოვლენების ფონზე, სოჭის ოლიმპიადა სიურპრიზების გარეშე არ ჩაივლის.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო ვაშინგტონმა სანქციები აამოქმედა, შეერთებული შტატების საელჩომ უკრაინაში რამდენიმე პირს, ვინც პასუხისმგებელია შექმნილ ვითარებაზე, ვიზები გაუუქმა. მსხვერპლის რაოდენობა ყოველწუთიერად იზრდება. ელოდებიან ამერიკის სამხედრო ხომალდების შავ ზღვაში შემოსვლას, ხომალდები საჭიროების შემთხვევაში სოჭიდან საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების ევაკუაციას განახორციელებენ. გარდა სამხედრო ხომალდებისა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ მზადყოფნაში მოიყვანა რეგიონთან ახლოს მყოფი საავიაციო ბაზებზე დისლოცირებული სატრანსპორტო თვითმფრინავები.

ერთი მხრივ რუსეთი ზურგს უმაგრებს ოფიციალური კიევის ხელისუფლებას, რასაც მოჰყვა სისხლისღვრა, მეორე მხრივ, იწყებს სოჭის ოლიმპიადას, რაშიც დახარჯული აქვს 50 მილიარდი დოლარი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, სოჭის ოლიმპიადა ჩაიშალოს. ამის მიზეზი კი, ერთი მხრივ, უკრაინაში მიმდინარე პროცესები იქნება და მეორე მხრივ, მოსალოდნელი ტერორისტული აქტები.

**„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი მოსალოდნელ საფრთხეებზე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს:**

**— თქვენი აზრით, რატომ შემოდის შავ ზღვაში ამერიკის სამხედრო ხომალდები და რას უნდა ველოდოთ?**

– ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის საიდუმლო სატელეფონო საუბრის შემდეგ, რომლის დეტალები არსად არ გამოქვეყნებულა, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ მათ ისაუბრეს ერთობლივი ძალისხმევით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. შედეგი უკვე გამოჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატები თავისი მოქალაქეების, სპორტსმენების დასაცავად შემოდის სამხედრო ხომალდებით შავ ზღვაში. ამერიკის სამხედრო პოტენციალით თუ ვიმსჯელებთ, ისინი არა მარტო ცალკეული ტერაქტებისთვის არიან მზად, არამედ მასიური შეტევებისთვისაც კი მზადყოფნას გამოთქვამენ ტერორისტების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ამერიკელები მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე არ იზრუნებენ, თუ ტერორისტები გააქტიურდებიან და საჭირო გახდება ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება. რა თქმა უნდა, უკრაინაში მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო დაასხამს ცეცხლზე ნავთს, შესაბამისად, აშშ-ს გემების გადაადგილება გამართლებული იქნება, იმდენად, რამდენადაც უკრაინაში ჯერ არ გათამაშებულა ყირიმის კარტი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია, იქ საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ვაჰაბისტები. როგორც ჩანს, ამერიკისა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ელოდებიან ტერაქტებს სოჭის ოლიმპიადისას, არა მარტო სოჭის მიმართულებით, არამედ ჩრდილო კავკასიის მთელ პერიმეტრზე, ეს ეჭვები რამდენიმე ხნის წინ გაამყარა „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლობამ ერაყში, რომლებმაც გააკეთეს სერიოზული განცხადებები, ჩვენ გავაგრძელებთ ტერორს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ამერიკელებს ძალიან სერიოზული ინფორმაციები აქვთ ტერორისტების ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანაზე, ტერორისტებთან ბრძოლაში გამოუცდელ რუსეთს, რომელსაც არ შესწევს უნარი, ასეთ დროს თავი დაიცვას მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით, დაეხმარება როგორც ამერიკა, ასევე რამდენიმე ევროპული ქვეყნის სპეცსამსახურები.

**— საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი გაძლიერებული მუშაობის რეჟიმზეა გადასული, ეს მოსალოდნელ საფრთხეებს უკავშირდება?**

– თქვენ იცით, რომ ჩრდილო კავკასიაში მიდის ე.წ. „ზაჩისტკები“, იმ მებრძოლების ნათესავებს, რომლებიც ტყეში არიან, უტარებენ წმენდას, ეს საკმაოდ სერიოზულ დისკომფორტს შეუქმნის აზერბაიჯანსა და საქართველოს, სამწუხაროდ, მაგრამ ეს არის ბუნებრივი პროცესი. საქართველოს სპეცსამსახურები გაძლიერებულ რეჟიმზე უნდა გადავიდნენ, უნდა იყვნენ საბრძოლო მდგომარეობაში, რამდენიმე მიზეზის გამო, ამ ე.წ. „ზაჩისტკების“ დროს მებრძოლები არ გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და მეორე, სოჭისკენ მიმავალ გზაზე ჩვენი ტერიტორიები არ გამოიყენონ. ასე რომ, ბუნებრივად მიმაჩნია ანტიტერორისტული ცენტრის გააქტიურება, თუნდაც საჭიროა სიფრთხილე, რომ ჩვენ არ დაგვბრალდეს შემდგომში რაღაცები, არ მოხდეს ჩვენი ტერიტორიიდან თავდასხმის განხორციელება, მოგეხსენებათ, რომ მებრძოლები ფლობენ ისეთ იარაღს, რომელიც შორი მანძილიდან ისვრის ნაღმებს. 17 იანვარს იყო კავკასიელი ლიდერების შეკრება, ყველა კავკასიელი თვლის, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ტერაქტები იქნება. ტერაქტები დაიწყება, სავარაუდოდ, ოლიმპიადის მიმდინარეობისას და აუცილებლად გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო დაძაბავს ჩრდილოკავკასიელებსა და რუსეთს შორის ურთიერთობას, ის ე.წ. „ზაჩისტკები“ ოლიმპიადის შემდეგ გადაიზრდება სამხედრო ოპერაციებში, ამით დაინტერესებულია ჩრდილოეთ კავკასია, მათ შორის აფხაზეთი, იქაც ცხოვრობენ მუსლიმანები და კონკრეტულად სალაფიტები...



**— დასამარდება თუ არა, კიევის მსხვერპლთან ერთად, სოჭის ოლიმპიადა და ჩაიშლება თუ არა?**

– როდესაც ევროპის გავლენიანმა პოლიტიკოსებმა იანუკოვიჩს მოსთხოვეს ტიმოშენკოს განთავისუფლება,

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

## ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი იხსნება



აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან, გიორგი ჯავახიშვილთან ერთად საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე ახალი გამშვები პუნქტის „მარადიდი-მურათლის“ სამუშაო ჯგუფს შეხვდა, რომელიც კირნათის საგუშაგოზე გაიმართა.

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მოლაპარაკებები ახალი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. თურქული მხარე მზადაა, გახსნას მურათლი-კირნათში სახმელეთო საზღვარი, რაც შეამცირებს ქამილის რეგიონში მგზავრობის მანძილსა და ორ რეგიონს შორის მოქალაქეთა მიმოსვლის დროს. (ჯი-ეიჩ-ენი)

## ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგზე იმსჯელებენ

23 იანვარს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგზე მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართება. ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტიზაციის საშუალებას და პერიოდულად განახლებადი დოკუმენტია, რომელიც ჩაანაცვლებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმას.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებელთა ჯგუფს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი ხელმძღვანელობს, ევროკავშირის მხრიდან კი ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენელი დირკ შუბელი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ციხეში ნარკოტიკები შეჰქონდა




თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობის ფაქტზე მოქალაქეს ბრალი წარედგინა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 21 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში შ.ტ.-ს იმავე დაწესებულებაში მოთავსებული მამისთვის, ამანათის სახით, 0.6 გრამი 'მარიხუანას" გადაცემას შეეცადა.

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შ.ტ-ს სსკ-ის 19, 3782-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის აკრძალული საგნის – ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობის ფაქტზე ბრალი 21 იანვარს წარედგინა. (ფრონტნიუსი)

## ნაცვლიშვილის შემოსავალი პროკურატურაში 102 ათასი ლარია

მთავარი პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა პროკურატურაში მუშაობის ერთწლიან პერიოდში შემოსავლის სახით 102 ათას 117 ლარი მიიღო. ამის შესახებ 11-გვერდიან ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული, რომელიც მიმდინარე წლის 20 იანვარს არის შევსებული.

დოკუმენტის თანახმად, ოჯახის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ლაშა ნაცვლიშვილის დედა სეიდა ნაცვლიშვილი ფლობს. მის საკუთრებაშია არაყიშვილის №23-ში მდებარე 255.83 კვ.მ საცხოვრებელი და ამავე მისამართზე რეგისტრირებული 388 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართები. დეკლარაციის მიხედვით, ოჯახის საკუთრებაში ფასიანი ქაღალდები არ არის. ლაშა ნაცვლიშვილსა და მის ოჯახს გასული წლის განმავლობაში არ მიუღიათ ფასიანი საჩუქარი, რომლის ღირებულება 500 ლარს აღემატება. (ფრონტნიუსი)

## ირაკლი კორძაიამ თანამდებობა დატოვა



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ირაკლი კორძაიამ თანამდებობა დატოვა.

ამის შესახებ ის სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" საკუთარ გვერდზე წერს.

„მეგობრებო, სამინისტროსთან დაკავშირებულ საკითხებზე დღეიდან დაუკავშირდით ორ უსაყვარლეს ადამიანს – თაია მახარაშვილსა და თამთა ჯანაძეს. მადლობას ვუხდი ყველა იმ ჟურნალისტს, ვინც კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად აშუქებდა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე მოვლენებს. პასკვილიანტ და მატყუარა ჟურნალისტებს მადლობას გადაბრუნებული ფორმით ვეუბნები. ორი სიტყვით სოზარ სუბარზე: ერთი წელი ყოველდღიურად ვაკვირდებოდი ამ ადამიანს. მის მაგალითზე დავრწმუნდი, რომ მაღალ თანამდებობაზე ყოფნისას შესაძლებელი ყოფილა, შეინარჩუნო ადამიანობა და ადამიანისთვის აუცილებელი ყველა თვისება. მალე დავუბრუნდები ჩემს ძველ საქმიანობას", – წერს კორძაია. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## ისრაელის ელჩი საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელობას შეხვდა



ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი, ებრაული „Globegateway"-ს პრეზიდენტი ოდედ კაპიტოლნიკი და საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი „მაშავის" დირექტორი გიორგი ჟღენტი საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელობას შეხვდა.

„ჩვენთვის საქართველო მნიშვნელოვანი ქვეყანაა. მესმის, რომ ეკონომიკის განვითარების რაღაც ეტაპზე ყველა ქვეყნისთვის და მათ შორის თქვენთვისაც მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, თუმცა ისრაელის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ასევე მნიშვნელოვანია ექსპორტის გაზრდა. გირჩევთ, აუცილებლად იმუშაოთ ამ მიმართულებითაც", – აღნიშნა ელჩმა შეხვედრაზე.

საუბარი ასევე შეეხო ისრაელ-საქართველოს ინოვაციური ფორუმის გამართვის ტექნიკურ დეტალებს, რომელიც 12-13 მარტს თბილისში მეორედ უნდა ჩატარდეს. „ჩვენ შარშანაც მოვაწყვეთ მსგავსი ღონისძიება და გვსურს, წელსაც გავმართოთ, უფრო ფართო რაკურსით და ცნობილი ებრაული ბრენდები დავაინტერესოთ თქვენი ქვეყნით", – განაცხადა „Globegateway"-ს პრეზიდენტმა ოდედ კაპიტოლნიკმა.

„Globegateway" არის წამყვანი გლობალური ებრაული კომპანია, რომელიც ხელს უწყობს და ორგანიზებას უკეთებს საერთაშორისო სავაჭრო ღონისძიებებს მთელ მსოფლიოში. (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვის და რატომ უთვალთვალებს გოგორიშვილი პარლამენტში?

22 იანვარს საქართველოს პარლამენტში რიგგარეშე სესია გამართა. განხილვის მთავარი თემა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი გახლდათ. მართალია, დეპუტატებმა 51-ე მუხლი „გაიარეს", მაგრამ სერიოზულ ინტრიგად მაინც რჩება, რამდენი იქნება თბილისის მერის არჩევისას ბარიერი – 40 თუ 50 პროცენტი?

როგორც უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, „ნაციონალები" კულუარებშიც ჩალიჩობენ, რომ კოდექსში 50 პროცენტი დაფიქსირდეს, მაგრამ ვინაიდან ეს ორგანული კანონია, მისი მიღება 76 ხმითაც არის შესაძლებელი. ამავე დროს „ნაციონალები" ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისგან განიცდის ზეწოლას, თითქოს მას სურს, ჯერ დავით ნარმანია გაიყვანოს თბილისის მერად, შემდეგ კი რეგიონებში თავისი ხალხი „დანიშნოს" მერებად და გამგებლებად. უმრავლესობა ამ მოტივს კატეგორიულად უარყოფს...

დავით ლორთქიფანიძის თქმით: ალბათ, უფრო კარგი იქნებოდა, რომ მართლაც 50 პროცენტი დაფიქსირებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, რეგიონებში იქნება უამრავი მეორე ტური, რაც მოითხოვს დამატებით ხარჯებს. „ნაციონალები" რატომღაც ამტკიცებენ, რომ დარჩენილი 60 პროცენტი მათია, ანუ მოსახლეობის უმრავლესობა მათ დაუჭერს მხარს. მოკლედ, ვინაიდან „ნაცებს" ამ ეტაპზე არავითარი ბერკეტი არ გააჩნიათ, საპარლამენტო კულუარებში ფსიქოლოგიურ ტერორზე არიან გადასულები, ანუ ქილიკსა და ქირქილზე. მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ 9 წლის განმავლობაში საერთოდ არ გახსენებიათ არც დემოკრატია და არც 50-პროცენტიანი ბარიერი. მეტიც, სააკაშვილს იმჟამინდელმა ოპოზიციამ ძლივს გამოსძალა თბილისის მერის არჩევის უფლება. თუმცა, უგულავა როგორც „ავირჩიეთ", ყველამ ვიცით. ისე, „ნაციონალების" ვირეშმაკობა მაინც არ ამართლებს კოალიციას, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, ანუ სადაც მეორე ტურია ჩასატარებელი, უნდა ჩატარდეს, კოალიციის მხრიდან ეს უფრო გაბედული ნაბიჯი იქნება.

დათო ლორთქიფანიძის თქმით, „ნაციონალები" ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცდილობენ, ინტრიგები ჩახლართონ, სიტუაცია დაძაბონ. ისინი ისევ დადიან უკრაინის დროშებით და „კაშნეებით", დამცინავი ტონით, ვითომ მხარს უჭერენ უკრაინელ ხალხს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა და პარლამენტმა საგანგებო მიმართვა მიიღო, მხოლოდ 16-მა „ნაციონალმა" მისცა ხმა. ეს იყო მაშინ, როცა უკრაინაში პირველად დაიძაბა სიტუაცია, ანუ 2013 წლის დეკემბერში.

პარლამენტში სიტუაცია დაძაბულია, თუ მიშა სააკაშვილის დეპუტატები არ დაწყნარდებიან და არ დალაგდებიან, კიდევ განმეორდება ის, რაც სოსო ჯაჭვლიანმა გააკეთა ცოტა ხნის წინ. ვინაიდან ოთხშაბათ დღეს განცხადებების გაკეთება აკრძალულია (ესეც „ნაცების" მიერ არის დაკანონებული), მათ ჩვეულ ხერხს მიმართეს – პარლამენტის დერეფნებში დასისინებენ, ამჯერად პროვოკატორთა ჯგუფს ხათუნა გოგორიშვილი უდგას სათავეში.

სხვათა შორის, როგორც დათო ლორთქიფანიძე ამბობს, გოგორიშვილს ერთი „მნიშვნელოვანი" მისიაც აკისრია – ის გამადიდებელი შუშით აკვირდება უმრავლესობის წევრ დეპუტატებს და შემდეგ პარლამენტის აპარატში „უშვებს", ვინ გაიპარა, ვინ გააცდინა და ვინ სხვის პულტს დააჭირა თითი. ამაში ცუდი არაფერია, გაცდენა და გაპარვა მართლაც არ შეიძლება, მაგრამ მაკონტროლებლად რომ გოგორიშვილი დაგადგება თავზე, ცოტა უხერხულია. თურმე ეს ქალბატონი მხოლოდ უმრავლესობის წევრებს „უშვებს", ხოლო უმცირესობის წევრებს კბილებით იცავს.



როგორც ლორთქიფანიძე ამბობს, ხათუნას მსხვერპლი ახალი წლის წინა დღეებში თვითონაც შეიქმნა – სხდომა ცოტა ადრე დატოვა და ხათუნას წყალობით ჩამოაჭრეს კიდეც ხელფასიდან 20 პროცენტი. სამაგიეროდ, უმცირესობას ჰყავს დეპუტატები, რომლებიც საერთოდ არ ესწრებიან სხდომებს, მაგრამ ხმის ამომღები არავინაა... მაგალითად, გივია თარგამაძეს და პეტრე ცისკარიშვილს იშვიათად თუ ხედავენ პარლამენტში კოლეგები. ეგრეა, ერთი გიჟი და ერთი „ჩამშვებები" ყველგან უნდა იყოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა, მინიმუმ, სამი დღე კიდევ გაგრძელდება, მთავარი, ანუ ბარიერის საკითხი ჯერ წინ არის და ბუნებრივია, უფრო მეტ დაძაბულობასაც უნდა ველოდოთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რატომ გადავიდა საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი გაძლიერებულ რეჟიმზე?

*მეცხრე გვერდიდან*

ჩვენ მეორე დღესვე გავაკეთეთ განცხადება, რომ ევროკავშირის პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი უშვებს საბედისწერო შეცდომას და ისინი უსამართლოდ ექცევიან უკრაინის მოსახლეობას, რადგან არ შეიძლება 46-მილიონიანი მოსახლეობის მომავალი დადონ სასწორზე, ერთ ქალბატონზე, რომელსაც კრიმინალური და კორუფციული თვალსაზრისით არცთუ ისე სუფთა წარსული აქვს. ეს იყო შეცდომა და შედეგებიც დადგა. ჩვენი აზრით, იანუკოვიჩი არ გადადგება, აქციები იქნება პერმანენტული. 2015 წელს არის საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში და პროცესები გაგრძელდება 2015 წლის ზაფხულამდე, რაც მიიღებს უფრო მასშტაბურ ხასიათს. ევროპელებს რომ თავის თავზე აეღოთ ვალდებულებები, მოთხოვნები არ დაეყენებინათ და გაეწიათ ეკონომიკური დახმარება, პროცესები ასე არ გამწვავდებოდა. დღეს კი ევროპას უფრო ძვირი დაუჯდება უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, თუ ოლიმპიადა ჩავარდა, ეს იქნება ტერორისტების გამარჯვება და ამიტომ არის გაძლიერებული უსაფრთხოების ზომები, როგორც ამერიკელების, ასევე ევროპული სპეცსამსახურების მხრიდან. ამ შემთხვევაში რუსეთის პოლიტიკური ამბიციები ნაკლებად აწუხებს დასავლეთს, მათ აშინებთ ტერორიზმის საფრთხე, რაც სოჭის ოლიმპიადის ჩავარდნის შემთხვევაში გაჩნდება. ამიტომ ჩაატარებინებენ ოლიმპიადას.

**რაც შეეხება შემდგომ პროცესებს, რამდენადაც ვიცი, ამერიკისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ სამომავლო სამხედრო თანამშრომლობაზეც, რაც მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლას მოიცავს, თუ სხვა ტერიტორიებსა და პრობლემებს, ეს გამოჩნდება. ეს საიდუმლო გაიხსნება ოლიმპიადის დასრულების შემდეგ.**

ახლა კი მთავარია, საქართველომ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ გამოვიდეს ეკონომიკური კრიზისიდან, რათა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არ თქვას, ასეთ ყოფნას რუსეთთან კარგი ურთიერთობა გვერჩივნაო. ამას პოლიტიკის თემაზე ჰქვია იძულებითი დაყოლიება, რუსეთმა ძალით წაიღო ჩვენი ტერიტორიები, ახლა კი იძულებულს გვხდიან, ვაღიაროთ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. იმის დასტურია, რომ რუსეთთან არ გვაქვს კარგი ურთიერთობა, ამის შემდეგ დადგება პარტნიორული ურთიერთობის საკითხი, ამიტომ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური პრობლემების გამოსწორება, რათა ქართველმა ხალხმა და საქართველომ სწორი საგარეო პოლიტიკური ორიენტირი განსაზღვროს და დასავლური კურსით წავიდეს, ამ გზაზე კი არ იყოს შიდა დაძაბულობები, ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოსვლები, რასაც მეზობელი ჩრდილოელი ცუდად გამოიყენებს.

ნინო სამხარაძე 599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფილიპ ლეფორმა კომენტარი გააკეთა



ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ ლეფორმა რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა:

„ჩვენ ვასრულებთ შუამავლის როლს, რაც ეფუძნება მიუკერძოებლობას, მედიატორების პატივისცემასა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფოკუსირებას ჰუმანიტარულ საკითხებზე. ჩვენ ვცდილობთ, პროცესი წინ წავწიოთ, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა დიდია, განსაკუთრებით სტატუსზე და მოკლე ვადაში ეს ვერ მოგვარდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმედი არ არსებობს, პირიქით მჯერა, რომ მოთმინებით, საღი აზრით, კომპრომისითა და შერიგებით კონფლიქტის მოგვარების გზა გამოინახება... მე ინტერვიუ ცხინვალში არ მიმიცია. რა თქმა უნდა, დიპლომატიურ შეხვედრებზე კომენტარის გაკეთებისას სრული თავისუფლება არ მაქვს, მაგრამ განცხადება, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, რესპუბლიკის ხალხის მიერ დიდი ხანია, განსაზღვრულია, ჩემი პოზიცია არ არის", – აღნიშნა ლეფორმა. (ინტერპრესნიუსი)

## გზა გაგვიფუჭეს? ფული გადაგვიხადონ!

ჭიათურაში, ითხვისის მაღაროს მახლობლად მაცხოვრებლებმა ცენტრალური გზა გადაკეტეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, მაღაროში კარიერული დამუშავების დროს პრობლემები ექმნებათ და ამიტომ „ჭიათურმანგანეზის" ადმინისტრაციისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

„ესენი თავიანთ საქმეს აკეთებენ და მილიონობით ლარის მოგება რჩებათ, ჩვენ კი, მაღაროსთან მცხოვრებლებს, უამრავი პრობლემა გვექმნება. დადიან დიდი მანქანები, გაგვიფუჭეს გზა, წვიმიან ამინდში ჯიპითაც კი ვერ გაივლი, ისეთი ტალახია. ვითხოვთ, აგვინაზღაურონ ზარალი, რომელიც ჩვენ მოგვადგა", – აცხადებენ სოფლის მაცხოვრებლები. (ინტერპრესნიუსი)

## ორი სოფლის რწმუნებულები დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სოფლების, სალიბაურისა და კაპრეშუმის რწმუნებულები ლევან ცეცხლაძე და დავით თურმანიძე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი სიყალბისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითური გზით დაუფლება.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 10 500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთების ფიზიკურ პირებზე უკანონოდ რეგისტრაციისთვის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტები გასცეს, რითაც მოქალაქეები უკანონოდ დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 169 541 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე და 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები



არჩილ ხაბაძე

## რომელი ქალაქების მერობისთვის დაიწყო ბრძოლა სახელისუფლებო კულუარებში?

როგორც ჩანს, თბილისის მერი დავით ნარმანია იქნება. ჩვენ გვინდა თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, კოალიციამ დაამტკიცა და მორჩა, ეგრე იქნება. მართალია, თავიდან ვიღაც-ვიღაცებმა წაიწუწუნეს, ვიღაც-ვიღაცებმა წაისისინეს, ძირძველი თბილისელი არ არისო, მაგრამ „კოშმარმა“ უკვე გაიარა და თითქმის ყველა შეეგუა. კი, ბატონო, ადგილობრივ არჩევნებში თბილისის ბედი გადაწყვეტილია, მაისამდე ეს იდიოტებით სავსე საკრებულო როგორმე სულს მიიტანს, „ნაციონალებით“ გაძეძგილ დედაქალაქის მთავრობასაც როგორმე არჩევნებამდე მივათრევთ და მერე ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება – ხელფასები, პრემიები, სარგოები, ღრეობები და ასე შემდეგ.

ახლა დღის წესრიგში დადგა, ვის კანდიდატურებს წარადგენს მერობის კანდიდატებად კოალიცია ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში? ვინაიდან, ეს სამი ქალაქი ფრიად მნიშვნელოვანია ქართულ სინამდვილეში, ამიტომ ასეთივე მნიშვნელოვანი უნდა იყოს მერობის კანდიდატურების ვინაობაც. როგორც ამ ეტაპზე „ალიასთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, კოალიციამ შიგნით უკვე დაასახელა ბათუმის მერობის კანდიდატი – გიორგი ერმაკოვი. მართალია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, არჩილ ხაბაძეს თავისი კაცის გაყვანა უნდოდა ამ თანამდებობაზე, მაგრამ ეგრე სად არი... ერმაკოვი არ გახლავთ ცნობადი სახე. როგორც ამბობენ, ის 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს და შემდეგაც „ნაციონალებთან“ იყო ჩახუტებული. 2008 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციისა და ეკოლოგიურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსად, შემდეგ კი იყო აჭარის გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსი.

„ალიას“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, არჩილ ხაბაძე 21 იანვარს თბილისშიც იყო ჩამოსული და ირაკლი ღარიბაშვილსაც შეხვდა, რათა დაერწმუნებინა, რომ ერმაკოვს მისი კანდიდატურა სჯობდა, ხაბაძე შეეცადა, კოალიციას სიტყვა უკან წაეღო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თავად ღარიბაშვილი რას ფიქრობს ერმაკოვის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით უცნობია. ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ უკვე მზადდება ბათუმის მოქმედი მერის, ჯემალ ანანიძის გადაყენების საკითხი. როგორც ჩანს, გაზაფხულის დადგომას არც ბათუმში ელოდებიან და უახლოეს ხანში ანანიძეც უგულავას ბედს გაიზიარებს.



23 იანვარს საფრანგეთში დავით კეზერაშვილის პირველი სასამართლო პროცესია. პარიზში მცხოვრები ჩვენი კოლეგა, გიორგი ფოფხაძე ქართულ ტელევიზიებს ეხვეწება, ამ ფაქტს გაგიშუქებთო, მაგრამ ყველასგან უარს იღებს. მისი თქმით, ჩვენს ტელევიზიებს პანიკური შიში აქვთ, თურმე ფოფხაძე აკრძალულია, „შავ სიაშია“ შეყვანილი. ეს, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია, გიორგი ფოფხაძე 2012 წლიდან მოყოლებული მხარს უჭერს კოალიციას და მანამდე თავგამოდებით ებრძოდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს. აი, რას ამბობს გიორგი „ალიასთან“ საუბარში:

„თბილისში რომ ვიყავი, „ტვ 3“-ს შევხვდი, „იმედს“ შევხვდი და თანამშრომლობა შევთავაზე. ყველასგან გაურკვეველი უარი მივიღე და მეტი რაღა ვქნა? ყველაზე „ჩესნად“ ისევ „იმედი“ მოიქცა, კაცი მომიგზავნა, რომელმაც მითხრა: გიო, ხო იცი, „შავ სიაში“ ხარ შეყვანილი და „პონტი“ არაა, შენ ვინმემ აგიყვანოსო. „შავ სიაში“ ვინ შემიყვანა-მეთქი? გია ხუხაშვილმა და შალვა რამიშვილმაო. რამიშვილს საერთოდ არ ვიცნობ, ვინ არის-მეთქი? შენ რომ არ იცნობ, ის გიცნობსო. შეგიძლია, ეს ოფიციალურ განცხადებად მიიღო“.

ჩვენ, ალბათ, დეტალურად გავიგებთ, რა მოხდება კეზერაშვილის პროცესზე, მაგრამ ტელევიზიების შიშებია უცნაური, რომ ჰკითხო, დამოუკიდებლები არიან. რაც შეეხება „შავ სიას“, მის არსებობას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პრესსამსახური უარყოფს. ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს, ამბობს, რომ რომელი ტელევიზია ვისთან დადებს ხელშეკრულებას, ეს მათი გადასაწყვეტიაო.

22 იანვარს საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, ირმა ნადირაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ანზორ ჩუბინიძემ თანამდებობა დატოვა, მაგრამ ჩუბინიძის უწყებამ უარყო, ახლა ჩვეულებრივად მუშაობს, მაგრამ ერთ თვეში აპირებს წასვლასო.

ანზორ ჩუბინიძეს 3 დღის წინ, ანუ 20 იანვარს ველაპარაკე ტელეფონით, რაღაც საკითხზე კომენტარი მინდოდა. არცთუ ისე კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ წასვლის თაობაზე არაფერი უთქვამს, პირიქით, როგორც მან მითხრა, სახელმწიფო დაცვის სამსახურში დაწყებული ჰქონდა რეფორმა, კადრები უნდა შევამციროთ და უფრო მობილური უნდა გავხადოთ. ბოლო სამ დღეში რა მოხდა, გაუგებარია. სხვათა შორის, როცა ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების საკითხი გადაწყდა, მას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. როგორც ამბობენ, მან ბიძინა ივანიშვილს უთხრა: მე თქვენი ოჯახის უსაფრთხოების ვალდებულება მაქვს აღებული და ბოლომდე აქ ვრჩებიო. წესით, ანზორ ჩუბინიძესა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის არანაირი დაპირისპირება არ უნდა არსებობდეს, ივანიშვილის დაცვის უფროსი თავისი ბუნებით ძალიან უპრეტენზიო და თავმდაბალი ადამიანია...

მე ნადირაშვილის განცხადების შემდეგ არაერთხელ ვცადე ანზორ ჩუბინიძესთან დაკავშირება, მაგრამ არ მიპასუხა.

>>> **გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

### პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ვეტერანს ეხმაურება





საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ვეტერან გიორგი შანშიაშვილს ეხმაურება. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, შანშიაშვილი გამოთქვამს საყვედურს ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის გამო. მისი განცხადებით, მკურნალობისთვის ესაჭიროებოდა 5000 ევრო, რომლის დაფინანსებაზეც სახელმწიფოსგან უარი ეთქვა, სამაგიეროდ კი, საახალწლოდ, როგორც ვეტერანს, გაეგზავნა პრემიერ-მინისტრის მისალოცი ბარათი.

„საჭიროდ მიგვაჩნია, პირადად ბატონ გიორგის და მთელ საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ პრემიერ-მინისტრმა, ახალი წელი მისალოცი ბარათით ყველა ვეტერანს მიულოცა. აქვე გაცნობებთ, რომ 2013 წელს ჯანდაცვის სამინისტროში დაფიქსირებულია მოქალაქე გიორგი შანშიაშვილის (დაბადებული 1957წ. აფხაზეთის ომის მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი) რამდენიმე განცხადება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრის შუამდგომლობით.

მისი ყველა თხოვნა დაფინანსების თაობაზე განხილულია რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედ 4 სხვადასხვა კომისიაზე. 1 წლის განმავლობაში, ოთხჯერვე დაფინანსდა მოთხოვნილი მკურნალობა და ოპერაცია (რიგ შემთხვევებში მკურნალობის ხარჯი დაფინანსდა ნაწილობრივ) - 20 000 ლარამდე თანხის მოცულობით, მათ შორის გადარიცხული იქნა საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯი 5 500 ევრო უცხოურ კლინიკაში. 2014 წლის 8 იანვარს გიორგი შანშიაშვილის მკურნალობის დაფინანსების თაობაზე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში შემოსულია არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ევრაზიული არჩევანი - საქართველოსთვის“ შუამდგომლობა, რომელსაც ახლავს იგივე დოკუმენტაცია, რომელიც უკვე განხილული და დაფინანსებული იყო 27.11.2013წ. სხდომაზე. ამ ეტაპზე შუამდგომლობა განხილვისა და შესწავლის სტადიაშია, გადაწყვეტილება მიღებული იქნება უახლოეს სხდომაზე.

ასევე გაცნობებთ, რომ შანშიაშვილს დამატებით მიღებული აქვს სამედიცინო მომსახურება სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, 2013 წელს თებერვლის თვეში 1200,00 ლარის ოდენობით და დეკემბრის თვეში 1040,00 ლარის ოდენობით. საქართველოს ხელისუფლება და პირადად პრემიერ-მინისტრი განსაკუთრებულად აფასებს ვეტერანთა ღვაწლს საკუთარი ქვეყნის წინაშე, ყოველთვის ცდილობს სათანადო პატივი მიაგოს მათ, მოახდინოს რეაგირება მათ მოთხოვნებზე და აღმოუჩინოს დახმარება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

### საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კიევში მყოფ საქართველოს მოქალაქეებსა და ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლებს მაქსიმალური სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

სამინისტროს განცხადებით, უწყება ურჩევს მათ თავი შეიკავონ ქალაქის იმ ნაწილში გადაადგილებისგან, სადაც დემონსტრაციები მიმდინარეობს.

„ამასთანავე, გაცნობებთ, რომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, კიევში, საქართველოს საელჩოში მოქმედებს 24-საათიანი ცხელი ხაზი: +38 093 919 60 80; +38 093 302 48 48; +38 093 023 27 76“, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი

**აქვს თუ არა პერსპექტივა სოფლის კოოპერატივებს? რა ხარვეზები აღმოაჩინეს პროექტში და იქცევა თუ არა ის კორუფციის ბუდედ? რა ბედი ეწია საქართველოს პატრიარქის მიერ მოწონებულ და რეკომენდებულ იდეას?**

**„ალიას“ ესაუბრება კოოპერატიული მოძრაობის დაწყებისა და განვითარების საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზაზა საბანაძე:**

– საქართველოში სოფლის მეურნეობის სფერო რომ დაქცეული იყო, ამის გამო 2004 წელს შევქმენით საინიციატივო ჯგუფი და ვთქვით, რომ ამ სფეროს ხსნა კოოპერატიულ მოდელზე გადასვლაში იყო. შევისწავლეთ ყველა ქვეყნის გამოცდილება ამ მიმართულებით და მივმართეთ „ნაციონალურ მოძრაობას“. მაშინდელ ხელისუფლებაში იყო დარგის მცოდნე რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ესმოდათ, რასაც ვთავაზობდით. თქვეს, რომ ეს პროგრამა იქნებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ეკონომიკური პროგრამა.

გაეროს იმ მრავალი რეკომენდაციიდან, რომელიც განვითარებად ქვეყნებს ეხება, არის ასეთი რეკომენდაცია – „ერიდეთ ფსევდოკოოპერაციას“. სწორედ ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ადგას ფსევდოკოოპერაციის გზას. ჯერ იყო და 2013 წელს პარლამენტმა მიიღო 6-თვიანი დაგვიანებით კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“. საქმე საქმეზე რომ მიდგა, დავეჯახეთ კახა ბენდუქიძეს, რომელმაც თქვა, სოფლის მეურნეობის სფეროში ფული არ უნდა ჩაიდოს, წამგებიანიაო. მას სურდა, იმპორტით ფული ეშოვა. მოკლედ, იდეა, რომლის გარშემოც დარგის სპეციალისტები შევიკრიბეთ, არის კოოპერატიული მოძრაობა.

**— კოოპერატიულ მეურნეობებზე ივანიშვილი ჯერ კიდევ პრემიერობამდე საუბრობდა და ამ დღეებში მთავრობა უკვე მათ რეგისტრაციას იწყებს. თქვენი რამეთი განსხვავებულია?**

– ახალმა ხელისუფლებამ სხვანაირი გზით წაიყვანა ეს იდეა. მათ შექმნეს კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სადაც გამოცხადდა, რომ გლეხები უნდა გაერთიანდნენ და ეს არის კოოპერატივი. კანონი ჯერ არ ამუშავებულა და უკვე გეგმავენ კანონპროექტში რამდენიმე მუხლის შეცვლას. ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული განხილვებში, იმართებოდა შეხვედრები, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონპროექტის ავტორებმა არ გაითვალისწინეს სპეციალისტების ის ფუნდამენტური რჩევები, რომლებიც ეხებოდა საქართველოში ამ კოოპერატიული მოძრაობის დაწყებასა და განვითარებას. სადაა განვითარება და ხელშეწყობა?

**— კონკრეტულად რა არ გაითვალისწინეს?**

– კანონის თანახმად, მაგალითად, მაღალმთიან რეგიონებში კოოპერატივის წევრი უნდა იყოს მინიმუმ 3 კაცი, ხოლო დანარჩენ საქართველოში – მინიმუმ 5 კაცი. ამ 3-5-კაციანმა კოოპერატივმა უნდა აირჩიოს გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო, სარევიზიო კომისია. აღარაფერს ვამბობ ბუღალტერიაზე, იურისტზე, საქმეთა მმართველზე, აგრონომზე. ეს ყველაფერი ხომ საჭიროა, როცა წარმოებაზეა საუბარი? იაპონიაში დაშვებულია 15 კაცი.

**— იქნებ ამიხსნათ, რაოდენობაზე აქცენტი რატომ გააკეთეთ. საქმის გამკეთებელი 3-5 კაცი არ სჯობია 15 კაცს, რომელთაგანაც ზოგმა შეიძლება საქმისთვის ხელი არც კი გაანძრიოს და ისე მოითხოვოს ანაზღაურება?**

– აქ დევს ასეთი ნაღმი: ამ კანონის ამოქმედებამდე ის საწარმოები, რომლებსაც დამფუძნებლები ჰყავდათ 2 ან 3 კაცი, ჩვეულებრივი წესით იხდიან გადასახადებს, რაც კანონით ეკუთვნით და იხდიან კიდეც, შეიტანენ წესდებაში ცვლილებებს, დაიმატებენ დამფუძნებლად უახლოეს ნათესავებს, გახდებიან 5 და 6 ადამიანი, მიმართავენ სააგენტოს და გვექნება კოოპერატივი, რომელიც ისარგებლებს მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებით 2017 წლამდე. ამით ხომ სახელმწიფო ბიუჯეტს საკმაოდ სერიოზული შემოსავლები დააკლდება.

**— ამაზე თუ ელაპარაკეთ და აუხსენით განხილვისასაც, რატომ არ გაითვალისწინეს?**

– მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამ სააგენტოს შექმნის მიღმა დგას ორი რამ: არაკომპეტენტურობა და კორუფცია. მაგალითად, ნახავ ვინმე ნაცნობს, ნათესავს, ეტყვი, ნახე ვინმე 5 კაცი, დააფუძნე კოოპერატივი, მომმართე სააგენტოში, მოგანიჭებ სტატუსს, მოგცემ გრანტს, მერე პატარა წაიმუშავე მიწაზე, თავმჯდომარე შენ ხარ, სამეთვალყურეო საბჭო არ გყავს, სარევიზიო კომისია არ შეგაწუხებს, მონიტორინგი მე ვარ და არ შეგამოწმებ, ჰოდა, გავიყოთ გრანტი. მაგრამ თუ კოოპერატივში გყავს მინიმუმ 25 კაცი, მთელი თავისი კანონმდებლობით აღჭურვილი სტატუსებით, ამის გაკეთების უფლებას არავინ მოგცემს. ამიტომ მიმაჩნია, რომ პარლამენტმა დღეს მოქმედი კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, უნდა შეაჩეროს. გამოდის, რომ 5 კაცს ადვილად იშოვი შენი საქმიანობისთვის, მაგრამ 15 აფერისტის მოძებნა სოფელში გაგიჭირდება.

**— როგორც მე ვიცი, კოოპერატივების იდეა პატრიარქმა მოიწონა.**

– დიახ, მოიწონა, მაგრამ ჩვენი. მე შევიტანე წერილი საპატრიარქოში და პატრიარქმა იმდენად მისაღებად ცნო ჩვენი იდეა, რომ რეკომენდაციითაც შევიდა ყველა სტრუქტურაში, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა. სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ის მოხდა კარგი, რომ ვაუჩერები დაარიგეს. მართალია, ის ფულად ვერ გამოიყენეს, მაგრამ პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი იყო. ისეთი ხარისხიანი თესლი და სასუქი შემოიტანეს, სადაც არ მოდიოდა კარგი მოსავალი, იქაც კი მოვიდა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, სოფლის მეურნეობაში ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ბიძინა ივანიშვილმა რომ ეს გააკეთოს, ჩვენ ისე დავამუშავებთ მიწებს, რომ გარკვეულ მოგებასაც მიიღებს ამით ის. ინვესტიციის გარეშე არაფერი არ გამოვა. გვაქვს დიდი საპარტნიორო ფონდი, საიდანაც შეიძლება ინვესტიციის განხორციელება. ჩვენ უნდა დავანახოთ ინვესტორს თანხის მუშაობის ეფექტურობა და არა მისი ჰაერში გაშვება. ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა ვუთხრათ, ფული გვაჩუქეო, არამედ უნდა ვთხოვოთ ინვესტიციის ჩადება. ფულისა და ინვესტიციის მოსაძებნად უცხოეთის ბანკებში რომ ჩავდებთ მიწას, ამით ხომ დავკარგავთ მათ. 6-მილიარდიანი საპარტნიორო ფონდი რად გვინდა, თუ არ ავამუშავეთ? ილია ჭავჭავაძემ გაყიდული მიწები გამოისყიდა და ხალხს დაურიგა, ჩვენ უკუღმა ვაკეთებთ? ახლა უცხოეთის ბანკებში რომ მიწას ჩადებ, ის უცხოეთი რას იმაქინაციებს და რა ხელშეკრულებას დაგიდებს, ვინ იცის?



გიგლა აგულაშვილი

# რატომ არ აუქმებენ სოფლის კოოპერატივების კანონში კორუფციულ მუხლს?



ზაზა საბანაძე

**„ალია“ ბრალდებებზე კომენტარისთვის პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეს გიგლა აგულაშვილს დაუკავშირდა: „სისულელეა ეს, არც საგადასახადო კოდექსი ესმის თქვენს რესპონდენტს, არც სამეწარმეო და არც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი. ასე გადარეგისტრირება-გადმორეგისტრირება ვერ და არც პროცედურულადაა ადვილი და ამავე დროს სააგენტო გააკონტროლებს ამ საკითხებსაც.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფოთის მერი თანამდებობიდან განთავისუფლდა




ფოთის საკრებულომ, რიგგარეშე სხდომაზე, ქალაქის მერის, დავით სარსანიას განცხადება, თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ დააკმაყოფილა.

სხდომა ხმაურის ფონზე წარიმართა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს. მათ ბოიკოტის ნიშნად სხდომა დატოვეს. მათი განცხადებით, მერმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება დეპუტატ ეკა ბესელიასთან დაპირისპირებისა და მისი ზეწოლის გამო მიიღო. ისინი მიიჩნევენ, რომ სარსანია ვალდებულია, თანამდებობაზე დარჩეს და დაპირებული პროექტები განახორციელოს.

სხდომის მიმდინარეობისას, „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ვახტანგ დარცმელიძემ, ფარული მოსმენის აპარატი წარმოადგინა, რომელიც, მისივე თქმით, პარტიის ოფისში იპოვეს, და ამ ქმედების ავტორად ხელისუფლება დაასახელა. (ინტერპრესნიუსი)

## ახალციხეში განახლებული ნაგავსაყრელი გაიხსნა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული ახალციხის საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი კომპანიას საკუთრებაში 2013 წლის 10 ივლისს გადაეცა. პოლიგონის მოწესრიგებისა და ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსების მიზნით 2013 წელს გამოცხადებულ ტენდერში შპს „ალიანსმა“ გაიმარჯვა.

ნაგავსაყრელზე შემდეგი სამუშაოები განხორციელდა: შემოიღობა ტერიტორია და განთავსდა სადარაჯო ჯიხური, სახანძრო სტენდი, ნაგავსაყრელის მაჩვენებელი რენდერი და ამკრძალავი ნიშანი; მომზადდა ფუნდამენტი და დამონტაჟდა 60-ტონიანი სამანქანე სასწორი; მოეწყო მანქანა-მექანიზმების ფარდული; განხორციელდა არსებული ციცაბო ფერდობის დახრის კორექტირება უსაფრთხო ქანობამდე და ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე ფერდის სტაბილიზაცია; ტერიტორიაზე მოეწყო სტიქიური წყლის ნაკადისგან დამცავი ღრმული (ტრანშეა); თიხოვანი გრუნტით მოეწყო საიზოლაციო ფენა, რომელიც სატკეპნების მეშვეობით დაიტკეპნება;

პოლიგონზე განთავსდა, ასევე, თიხოვანი გრუნტის მარაგი, რომლითაც შემდგომში შეტანილი ნარჩენები გადაიფარება. ამასთანავე, პერმანენტულად, შრეობრივად ხდება გადანაყრებისა და საიზოლაციო ფენის შემკვრივება ვიბროსატკეპნის მეშვეობით. (ინტერპრესნიუსი)



# ალიაქოთი



# რატომ არ ელაპარაკებიან ერთმანეთს მინისტრები და პრეზიდენტი

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, რუსეთმა აფხაზეთში ეგრეთწოდებული საზღვარი 11 კილომეტრით გადმოწია და რომ გვეგონა, ერთი ამბავი ატყდებოდა, ხელში შეშფოთება და ტყუილები შეგვრჩა. თანაც, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ან პრეზიდენტი მარგველაშვილი გვატყუებს, ან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ან კიდევ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი.

მოკლედ, საზღვრის გადმოწევის შემდეგ მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ამ ამბავზე ნერვიულობა ჯერ არ ღირს, წინ ოლიმპიადაა და რუსები ფრთხილობენ, მაგრამ 21 მარტს, ანუ მაშინ, როცა ოლიმპიადა დასრულდება, თუ რუსები ძველ საზღვრებს არ დაუბრუნდებიან, ჟენევაში გავაპროტესტებთო. მერე იყო, მარგველაშვილმა რომ თქვა, რუსები არასწორად იქცევიან და პირადად მე შეშფოთებული ვარო. ყველაფრის გვირგვინი კი ზაქარეიშვილის კომენტარი გახლდათ. პაატამ დაგვამშვიდა, რუსეთმა საზღვარი კი არ გადმოწია, უსაფრთხოების ზონა გააფართოვა და ნერვიულობა არ ღირსო. რა გამოდის? ფანჯიკიძე ამ 11 კილომეტრს მარტამდე არ ნერვიულობს, მარგველაშვილი მხოლოდ შეშფოთებულია, ზაქარეიშვილი კი საერთოდ არ ნერვიულობს და აცხადებს, საზღვარი არ გადმოწეულაო. როცა ამ განცხადებებს აკეთებდნენ, რატომ არ შეთანხმდნენ ერთმანეთთან პრეზიდენტი და მინისტრები, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს საზღვარი „პრახადნოი დვორია“ და ზურაბ ტყემალაძეს მოვუწოდებ, თბილისში ქუჩები და შენობები ქუთაისს კი არა, გალსა და სოხუმს დაუქვემდებაროს, მაგრამ ჩვენი ბედი რომ ვიცი, რუსები მერე იმასაც წაგვართმევენ, აფხაზეთის ყოფილაო და ჩვენ... პროვოკაციას არ ავყვებით.

გუშინვე მინისტრების თავს კიდევ ერთი ამბავი დატრიალდა, თუმცა ეს ყველა მინისტრს შეეხო. პრემიერის გადაწყვეტილებით, მინისტრების ხელფასმა 6300 ლარიდან 5000 ლარამდე განიცადა ვარდნა და თავისუფალ ვარდნაში მყოფ ლარის კურსს სოლიდარობა გამოუცხადა. კახა კალაძეს ეს ამბავი არც გახარებია და არც სწყენია. უფრო მეტიც, კახამ თქვა, წარმოდგენა არ მაქვს, საერთოდ რა ხელფასი მქონდა და არც ახლა მაინტერესებსო. ამ კაცს ვერ გაამტყუნებ, მილანში რესტორანი აქვს, უკრაინაში სასტუმრო და დიდი რამე, ხელფასი თუ 1300 ლარით შეუმცირეს, მაგრამ ხათუნა გოგალაძემ რა ქნას, წინა დღეს რომ აგვატირა ტელევიზორებთან, სახლში მარტო მე ვმუშაობ და ჩემი ხელფასი როგორღაც გვყოფნისო. გარემოს დაცვის მინისტრს 6300 ლარი ჰყოფნის როგორღაც და პენსიონერებს 150-ლარიან პენსიას ყოველდღე ახსენებენ... როგორღაც!

ამავე თემაზე კომენტარი დავით სერგეენკომ გააკეთა და აღნიშნა, ასეთი მაღალი ხელფასი რომ მქონდა, იმდენჯერ დამანამუსეს, სახლში ვახშამს რომ ვჭამდი, ფარდებს ვაფარებდი, ისე მრცხვენოდაო. შესაბამისად, მისმა მეზობლებმა უკვე იციან, რომ, თუ სერგეენკოს ფანჯრებზე ფარდები დაშვებულია, მინისტრი ვახშმობს და ახლა იმას ნუ მკითხავთ, თუ დაშვებული არ არის, მაშინ რას აკეთებსო.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისში არსებულ საშაურმეებსა და რესტორნებში, ვირისა და ცხენის ხორცთან ერთად, ძაღლის ხორციც აღმოაჩინეს. შედეგად, არ გაგიკვირდეთ, თუ რესტორნების მენიუში შემდეგი შინაარსის წარწერას წააწყდებით: „მენიუში ავი ძაღლია“, „ძაღლი შინ არ ვარგოდა, ჩვენს რესტორანში დარბოდა“, „კარგი შაურმა მათრახს არ დაირტყამს“... შესაბამისად, გამოთქმა „ძაღლის ბედი აქვსო“, ქართული რესტორნების ფონზე დიდად გამართლებული არ უნდა იყოს.

კულტურის სამინისტროს ხარჯებმა („ალიას“ მასალაა) ისეთი შოკი გამოიწვია, კულტურულად რომ ვთქვა, მათი გამომზეურების შემდეგ ხალხი გამოშტერდა. როგორი საქმეა? ოდიშარიას უწყებამ რესტორნებში 102 739 ლარი დახარჯა, ყავაში – 10 392, სასმელებში – 35 ათასზე მეტი და... ისევ კულტურულად ვიკითხავ, გამოშტერდით? ნოდარ ხადურს 4-ათას ლარიანი ვახშამი ძმრად ამოადინეს ლოყებში და ოდიშარია თურმე ყოველდღე „ხადურობს“. იმასაც გეტყვით, რომ ამავე სამინისტრომ საჩუქრებში 76 ათას ლარზე მეტი გაანიავა და ვის რას ჩუქნიდნენ, იქნებ აგვიხსნან? არა, ახლა სულ ისე ნუ გაიგებთ, რომ მხოლოდ ოდიშარიას ვერჩი და ხადურს ვიცავ. ნოდარის უწყებამ „თეგეტა მოტორსსა“ და „თიბი-სის“ ვალები ჩამოაწერა და რის სანაცვლოდ გააკეთა ეს, ვერ გეტყვით. ეჭვი მაქვს, ხადურმა ივარაუდა, „თი-ბი-სის“ ეგებ ნამუსი ეყოს და მოვალეები დაინდოს, ვალები მათაც ჩამოაწეროსო, მაგრამ მანამ არ გეტკინოთ არაფერი, სანამ ბანკებმა მომხმარებლის ინტერესი არ გაითვალისწინონ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე თვის ბოლოს თანამდებობას დატოვებს და სხვა სამსახურში გადავა. ჩვენი ინფორმაციით, ჩუბინიძეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს ჩააბარებენ, შსს-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ალექსანდრე ჭიკაიძეს – სასჯელაღსრულების სისტემას, ხოლო სოზარ სუბარი სამოქალაქო სექტორში წავა. ბრძენი კაცია ბიძინა ივანიშვილი, მიშა ნამინისტრალებს ამერიკაში უშვებდა სასწავლებლად და ათასები უჯდებოდა, ივანიშვილი კი ამ მხრივაც პრაქტიკული გამოდგა და ნამინისტრალებს სამოქალაქო სექტორში უკრავს თავს. ახლოც არის, ბევრიც არ დაჯდება და... ახლა ნუ მომედავებით, ეს სამოქალაქო სექტორი საერთოდ არ ჩანსო. ასე ამერიკაც არ ჩანდა აქედან, მაგრამ რამდენი მინისტრი გავუშვით სასწავლებლად, არ გახსოვთ?

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა კი განაცხადა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ვარო და უმრავლესობამ ტაში დაუკრა. ნახევარი საქართველო სიღარიბის ზღვარს მიღმაა, სპეციალურად გაშლილ კარვებში უსახლკაროები აღარ ეტევიან, პენსია საარსებო მინიმუმზე დაბალია და ვინმეს გაუგია, უსუფაშვილს ეთქვას, ამით შეშფოთებული ვარო? მე არ გამიგია და... წელან რესტორნების ახალი მენიუ ვახსენე, „ძაღლი შინ არ ვარგოდაო“... მარტო მენიუში ჩასაწერი არ არის ეს.

ლევან ღვინიაშვილი



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გარდაცვლილის დედა მკვლელებისა და თანამონაწილეების დასჯას ითხოვს



თამილა კოჭლამაზაშვილი პრემიერს, შს მინისტრსა და ახალ მთავარ პროკურორს მიმართავს და მისი შვილის მკვლელობის გამოძიების ბოლომდე მიყვანას ითხოვს. კოჭლამაზაშვილის განცხადებით, მისი შვილის მკვლელობაში 5 პირი მონაწილეობდა, მათგან მხოლოდ სამია გასამართლებული. „კიდევ ორი პირის, დავით ჯოხაძისა და მინდია გოგოჭურის მიმართ გამოძიება შეგნებულად ჭიანურდება, რადგან ჯოხაძეს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ხოლო მინდია გოგოჭურს გიორგი მარგველაშვილი მფარველობს“, – აცხადებს გარდაცვლილ ტარყაშვილის დედა. კოჭლამაზაშვილის თქმით, დავით ჯოხაძისა და მინდია გოგოჭურის მკვლელობაში მონაწილეობა სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში მკაფიოდ ჩანს.

„პირველად რუსთაველზე ჩემს შვილს გოგოჭურმა და ჯოხაძემ ესროლეს, მაგრამ შეგნებულად დაიმალა სხვადასხვა მაღაზიის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, სადაც ეს აშკარად ჩანს. გამოძიება შეგნებულად მიდიოდა არასწორად. ბოლოს მივაღწიეთ იმას, რომ სამი პირის გასამართლების შემდეგ, საქმე ცალკე აღძრულიყო და გამოძიება ცალკე დაწყებულიყო, თუმცა პროცესი შეგნებულად ჭიანურდება. მინდია გოგოჭური მარგველაშვილის მეგობარი ქალის, მაკა ჩიჩუას სიძეა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გოგოჭურმა 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში კიდევ ჩაიდინა დანაშაული, დაჭრა ვინმე ბაჩო სირაძე და კიდევ ვინმე ყიფშიძე, თუმცა, რეაგირება არც ამ შემთხვევაში არ მოჰყოლია ამ ფაქტს და ის ისევ შეიარაღებული თავისუფლად დადის ქუჩაში. ასევე, გავიგეთ, რომ ნარკოტიკების დოზის გადამეტებით გოგოჭური საავადმყოფოში მოხვდა და მას პრეზიდენტ მარგველაშვილის დაცვის წევრები დარაჯობდნენ. აღარ ვიცით, ვის მივმართოთ, ძველ მთავრობაშიც ასეთი სიტუაცია იყო და ახალშიც. პროკურატურაში გვეუბნებიან, რომ ნამდვილად არსებობს ეს ორი პიროვნება, მაგრამ ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნას. უკვე ორწელიწადნახევარი გავიდა და ვერც ერთმა მთავრობამ ეს დასკვნა ვერ დადო“, – განაცხადა კოჭლამაზაშვილმა.

ზურაბ ტარყაშვილი 2011 წლის 17 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე მოკლეს. (ინტერპრესნიუსი)

## სასჯელაღსრულებამ სამსახურებრივი შემოწმება დაასრულა



სასჯელაღსრულების სამინისტროში სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა. სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდადებულებისთვის, ს.ქ-სა და რ.გ-სთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ.

„ს.ქ-სა და რ.გ-ს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება, რომელშიც მათ კატეგორიულად უარყვეს მათთვის რაიმე სახის შეურაცხყოფის ფაქტი. მსჯავრდადებულებმა განმარტეს, რომ არ სურდათ №15 ნახევრად ღია დაწესებულებიდან №6 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადასვლა, ამიტომ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან განაცხადეს, რომ ის დაზიანება, რომელიც მსჯავრდადებულმა ს.ქ-ს წაქცევის შედეგად მიიღო, თითქოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიაყენეს.

სამინისტრო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ დახურულ რეჟიმში მათი გადაყვანის გადაწყვეტილება მათ მიერ რეჟიმის სისტემატური დარღვევისა და სხვა მსჯავრდადებულებთან დაპირისპირების საფრთხის გამო მიიღეს. (ინტერპრესნიუსი)

## მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე იაპონელების ფუფუნებაა



ალბათ, რა მაგარია, ასეთი რეიტინგის სათავეში რომ მოექცევი!..

არა, იმას სულაც არ ვნატრობთ, უკვდავები ვიყოთ, მაგრამ აბა, რომელი ადამიანი იტყვის უარს იმაზე, რომ რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს?!

მოკლედ, ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლის მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე ამომავალი მზის ქვეყნის მკვიდრები მოხვდნენ და საერთო ჯამში, 186 ქვეყანა დაჯაბნეს.

ქვეყნებს შორის, რომლებშიც გამორჩეულია მამაკაცების ხანგრძლივი სიცოცხლე, იაპონიას სინგაპური მოსდევს, მესამე ადგილზეა შვეიცარია. შემდეგ მოდიან: ისლანდია, იტალია, ავსტრალია, კანადა, ანდორა, ისრაელი და სამხრეთ კორეა.

მშვენიერი სქესის სიცოცხლის ხანგრძლივობითაც იაპონია ლიდერობს, მეორე პოზიცია კი სამხრეთ კორეას ეკუთვნის, ხოლო მესამე – ესპანეთს. შემდეგ მოდიან: სინგაპური, ტაივანი, შვეიცარია, ანდორა, იტალია, ავსტრალია და საფრანგეთი.

*pronowosti.ru*

## როგორ უნდა გახდეს ადამიანი ბედნიერი?

ისეთი ადვილი ყოფილა ბედნიერების პოვნა, ვერც კი წარმოიდგენთ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი მეცნიერების „რეცეპტი" უადვილესი შესასრულებელია და თუ მართლა დაგეხმარებათ, ძალიან მაგარი იქნება.



ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ როგორც კონტინენტსგაღმელები ამბობენ, ბედნიერების შეგრძნება დამოკიდებულია... დღის ძილზე.

– ადამიანები, რომლებიც დღის მანძილზეც ახერხებენ დაძინებას, დანარჩენებზე ბედნიერები არიან, – ამტკიცებენ მოსაზრების ავტორები.



საიდან გაჩნდა ასეთი აზრი? განმარტება ასეთია:

ხანმოკლე ძილს დღის მანძილზე, თუნდაც ნახევარსაათიანს, შეუძლია „გამორთოს" ადამიანის ორგანიზმი და მასში ბედნიერების ჰორმონის – სეროტონინის გამომუშავების დონე გაზარდოს. განსაკუთრებით სასარგებლოა ძილი ზამთრის პერიოდში.

სხვათა შორის, კვირის მანძილზე სულ რაღაც 3-საათიანი დამატებითი ძილი 37 პროცენტით ამცირებს ისეთი საშიში უსიამოვნებების რისკს, როგორიცაა, მაგალითად, ინსულტი, ინფარქტი.

სპეციალისტების რჩევაა, საუკეთესო შედეგის მისაღებად, ადამიანმა დღის მანძილზე 13-დან 15 საათამდე „წაუპლაცკარტოს"...

*medkarta.com*

## მექსიკაში უცხოპლანეტელთა სასაფლაოს მიაკვლიეს?



თუ მორცხვები არიან და არ უნდათ, დაგვენახონ, მაშინ სულ დაგვანებონ თავი ამ უცხოპლანეტელებმა, თუ არადა, რას გაგვიწყალეს გული ამდენი საიდუმლოებით?!

არამიწიერ არსებებთან დაკავშირებული სენსაციური ინფორმაცია მექსიკიდან ვრცელდება, სადაც სონორას შტატის დასავლეთით, სოფელ ოვანასში ადგილობრივმა არქეოლოგებმა მართლაც უჩვეულო სასაფლაოს მიაკვლიეს.

სპეციალისტების შეფასებით, სამარხი დაახლოებით 1000 წლის უნდა იყოს.

აღმოჩენილია სულ 25 არსების ნარჩენები, რომლებსაც ძლიერ დეფორმირებული თავის ქალები აქვთ, რაც გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ ისინი სწორედ არამიწიერ არსებებს მიაკუთვნეს. გარდა ამისა, მათ უმრავლესობას დეფორმირებული აქვს კბილები.

არქეოლოგები აღიარებენ, რომ ამ დრომდე მსგავსი არაფერი უნახავთ არც ამ ადგილებში, არც მექსიკაში და არც ამერიკის სამხრეთ-დასავლეთით.

სენსაციურ აღმოჩენასთან დაკავშირებით მეცნიერები კვლავაც მუშაობენ და ალბათ, უახლეს ინფორმაციას ისინი მალევე გაავრცელებენ.

*golossceince.com*

## სიმსუქნისგან უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე შიმშილისგანო



ბევრს კი ხუმრობენ ხოლმე ფუმფულა ადამიანებზე, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ არის საქმე სახუმაროდ!

სპეციალისტებმა 1990-დან 2010 წლამდე პერიოდის ანალიზი ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ჭარბი წონისგან გამოწვეული დაავადებები 3-ჯერ ხშირად ხდება ადამიანების გარდაცვალების მიზეზი, ვიდრე დაავადებები, რომლებსაც შიმშილი იწვევს.

იმის გამო, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ხელმისაწვდომია ძალიან მრავალფეროვანი პროდუქტები, მათ სულ უფრო მეტი ადამიანი ეტანება და ამის პარალელურად, ისინი სულ უფრო ნაკლებად მოძრაობენ.



სტატისტიკის თანახმად, კატასტროფულადაა გაზრდილი ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც აწუხებთ ჰიპერტონიული დაავადებები, დიაბეტი, ჭარბი წონა. ყოველწლიურად დაავადებებს, რომლებიც სიმსუქნეს უკავშირდება, ჩვენი პლანეტის დაახლოებით 3 მილიონი მკვიდრი ეწირება. აფრიკის გამოკლებით, მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობაში სიმსუქნის პრობლემა მუდმივად მატულობს.

თუკი ადრე მეცნიერები იმაზე იმტვრევდნენ თავს, როგორ გამოეკვებათ ადამიანები, რომლებსაც საჭმელი არ ჰყოფნით, ახლა უკვე იმაზე მუშაობენ, დაარწმუნონ ხალხი, რომ ზომიერ კვებას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

*receptkulinar.ru*

## მადონას თანამშრომელთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც მის... დეენემს იცავენ



მართლაც არ არის გასაკვირი, როცა ცნობილი ადამიანები პირად მცველებს ქირაობენ და ამაში საკმაოდ დიდ თანხასაც ხარჯავენ. გარდა ამისა, დაცვა სჭირდებათ მათ ოჯახის წევრებსაც, უძრავ ქონებას და ასე შემდეგ, მაგრამ დეენემის მცველის „პროფესიაც" თუ არსებობდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით.

თურმე, ნუ იტყვით და მადონას საგასტროლო ჯგუფში შედის სპეციალური ჯგუფი, რომლის მოვალეობაც ასეთია: მათ არ უნდა დაუშვან, მომღერალს ვინმემ დეენემი მოჰპაროს.

მას შემდეგ, რაც მადონა საგრიმიორო ოთახიდან გამოდის, იქ მაშინვე ეს თანამშრომლები შედიან და ყველაფერს ზედმიწევნით ზუსტად ამოწმებენ. მაგალითად, წმენდენ სავარცხლებს, ღრუბლებს, აგროვებენ თმის ღერებს, კანის ნაწილაკებს და მომღერლის ნერწყვის წვეთებსაც კი. სხვა ადამიანებს ოთახში შესვლის უფლება მხოლოდ ამ უცნაური პროცედურების დასრულების შემდეგ აქვთ.

*mainfun.ru*

## შავი პირანიის ნაკბენი ტირანოზავრისაზე მძლავრია



იცით, რომელი არსებაა დედამიწაზე ყველაზე სასტიკი? ყოველ შემთხვევაში, კბენის თვალსაზრისით, უპირობო ლიდერი ნამდვილად შავი პირანიაა.

მკვლევარებმა გამოთვალეს, რომ მისი ყბების ძალას ვერც ერთი სხვა არსება ვერ აჯობებდა.

დიდი თეთრი ზვიგენი, ნიანგი ან თუნდაც, გიენა, საკმაოდ შთამბეჭდავად იკბინებიან, მაგრამ მათი კბენის სიმძლავრე და ზომები რომ შევადაროთ, შავი პირანია თითოეულს სჯაბნის.

უფრო მეტიც, ამ 20-სანტიმეტრიან თევზთან ისეთი პრეისტორიული მონსტრიც კი ვერ მივა ახლოს, როგორიც უსაშინლესი ტირანოზავრი გახლდათ...

*pronowosti.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# უცხოპლანეტელები გატაცებულ ადამიანებს კურნავენ?



კანადელი სწავლული ანთროპოლოგი კრისტა ჰენრიქსენი წლებია, რაც უცხოპლანეტელების მიერ ადამიანების გატაცების ფაქტებს სწავლობს და საკმაოდ უცნაურ დასკვნასაც აკეთებს – ის მიიჩნევს, რომ არამიწიერი არსებების მიერ დედამიწელების „სადღაც წაყვანას“, შემდეგ კი უკან დაბრუნებას, საკმაოდ დადებითი შედეგები მოჰყვება.

ჰენრიქსენის მოზრდილ ნაშრომში ბევრ ისეთ საინტერესო დეტალს შეხვდებით, რომლებშიც სწორედ მისივე მოსაზრების დამამტკიცებელი ფაქტებია აღწერილი და ჩვენც რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

73 წლის არგენტინელი ვენტურა მასეირასი დაახლოებით 7 წლის მანძილზე ღამის დარაჯად მუშაობდა – ის ერთ-ერთ ჩვეულებრივ საცხობს ყარაულობდა და მისდა სამწუხაროდ, მუდმივად მაღალი წნევები და გულის უკმარისობა აწუხებდა.

ერთ საღამოს მასეირასი სათვალთვალო ოთახიდან რაღაც ძალამ გაიყვანა, რის შემდეგაც მოხუცი საკმაოდ უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა – მის წინ რამდენიმე დაბალი არსება ჩანდა, რომლებიც გაურკვეველ ხმებს გამოსცემდნენ.

– მახსოვს მხოლოდ მათი ხმები, შემდეგ რაღაც ნათება და როცა ისევ ჩემს ძველ ადგილზე დავბრუნდი, იქ სულ სხვა დარაჯი დამხვდა, – ყვება მოხუცი არგენტინელი.

როგორც აღმოჩნდა, მას რამდენიმე დღის მანძილზე ეძებდნენ, თუმცა უშედეგოდ. ამ დროს კი მასეირასი უცხოპლანეტელების დაკვირვების ქვეშ ალბათ, რომელიღაც პლანეტაზე თუ იმყოფებოდა. ყველაზე საკვირველი ის გახლავთ, რომ მოხუცს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ აღარასოდეს დაუწუწუნია.

არანაკლები შედეგი მიიღო ჰუმანოიდებთან ურთიერთობის შემდეგ ავსტრალიელმა ჯეიმს ბროსონმა, რომელიც, სხვათა შორის, 12-გოჯა ნაწლავის კიბოთი იყო დაავადებული და განკურნების შანსიც კი აღარ ჰქონდა.

2004 წლის ზაფხულში ავსტრიელი ტბის პირას თევზაობდა, როცა მის თავზე 10-15 მეტრის დიამეტრის მქონე უცნაური საფრენი აპარატი გამოჩნდა.

– ვიფიქრე, აღსასრულის დღე დამიდგა და დიდად არც შემშინებია, რადგან უკვე კარგად მქონდა გაცნობიერებული, რაც მელოდა, – ყვება ჯეიმს ბროსონი, – ცოტა ხანში მივხვდი, რომ წრიული ფორმების მქონე საფრენი აპარატი არ მელანდებოდა და რომ ჩემს თავს რაღაც განსაკუთრებით უცნაური რამ ხდებოდა.

როგორც ირკვევა, ბროსონიც რამდენიმე დღით გაქრა, სავარაუდოდ, ის სწორედ მფრინავი თეფშის ეკიპაჟმა წაიყვანა, ხოლო როცა სახლში დაბრუნდა და ახლობლებს ყველაფერი წვრილად მოუყვა, სამედიცინო შემოწმება გაიარა.

– უცნაური გარეგნობის მქონე არსებები საათობით მაკვირდებოდნენ და მსინჯავდნენ. ექიმთან მისვლაც სწორედ ამის გამო გადავწყვიტე, რადგან მაინტერესებდა, რა გამიკეთეს, – განმარტავს ავსტრალიელი.

როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მიიღეს მედიკოსებმა? დიახ, ჯეიმს ბროსონს კიბოს მეტასტაზების კვალიც კი ველარ აღმოუჩინეს და მამაკაცი, რომელიც სასიკვდილოდ იყო გადადებული და სიკვდილს ყოველ დღე ელოდა, დღესაც ცოცხალია.

– ეს რაღაც ძალიან უჩვეულო ფენომენია. რთული გასაგებია, რატომ ეხმარებიან უცხოპლანეტელები ადამიანებს, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ძალიან ბევრი სნეული განკურნეს, – ამბობს კრისტა ჰენრიქსენი.

***tainamira.ru***



სვანი და მეგრელი ნარდს თამაშობენ.

მეგრელი:

– აბა შაში, აბა შაში...

სვანი:

– მესტიაში, მესტიაში...

*****



მოსამართლე ბრალდებულს:

– რატომ ესროლეთ დაზარალებულს სამი ჭიქა?!

– პირველი ორი ვერ გავარტყი და...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ,***
***დავით ახობაძის ნახატები***



## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

# ცუდი ყნოსვა დაავადების განვითარების მანიშნებელია?



ის, რომ ორგანიზმი ადამიანს ძალიან ბევრ მინიშნებას აძლევს ხოლმე, „რაღაც კარგად ვერ არის და დროზე ვუშველოთ თავსო“, გეცოდინებათ და ჩვენც გიყვებით ხოლმე პერიოდულად.

ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ თურმე, ყნოსვის დაქვეითებაც იმის მანიშნებელია, რომ ორგანიზმს რაღაც უჭირს და რომელიღაც დაავადება გადმოდის შეტევაზე.

გერმანული საარლანდის სამედიცინო სკოლის თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანები, რომლებსაც ყნოსვასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ, უნიკალური უნარითაც გამოირჩევიან – მათ ტკივილის შეგრძნება არ შეუძლიათ. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ცუდი ყნოსვა შესაძლოა, საშიში დაავადების განვითარებაზეც მეტყველებდეს.

იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანს ყნოსვის შეგრძნებები უქვეითდება, სავსებით შესაძლებელია, ეს ალცჰეიმერის დაავადების გაჩენის წინაპირობა იყოს. პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, საუბარია ხანშიშესულ ადამიანებზე.

აღნიშნული მიგნებით, გერმანელები იმედს გამოთქვამენ, რომ მედიკოსები ალცჰეიმერის საწყის ეტაპზე დადგენას და მის წინააღმდეგ ეფექტური ნაბიჯების გადადგმას შეძლებენ.

***mndg.ru***

# მამაკაცებისთვის ვაი-ფაი სახიფათოა?





არგენტინელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვაი-ფაის ელექტრომაგნიტური გამოსხივება უარყოფითად მოქმედებს სპერმაზე. ამდენად, ტექნიკა შესაძლოა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდეს იმისა, რომ მამაკაცმა შთამომავლობის დატოვება ვერ შეძლოს.

სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ სპერმის ხარისხი მნიშვნელოვნად კლებულობს, როცა მამაკაცი უსადენო კავშირის ზონაში ხვდება.

გეტყვით იმასაც, რომ ექსპერიმენტის მსვლელობისას, მოხალისე მამაკაცებს გაუნადგურდათ სპერმის 25 პროცენტი, 9 პროცენტი კი სერიოზულად დაზიანდა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სპეციალისტების რეკომენდაციაა, რაც შეიძლება მინიმუმამდე შეამცირონ მამაკაცებმა უსადენო კავშირის ზონაში მუშაობის დრო.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთები ალია და ქრონიკა

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

# ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**23 იანვარი:** დღეს საკუთარი შეცდომების შეცნობისა და გააზრების საშუალება მოგეცემათ, თუმცა მათი გამოსწორების გზებზე ფიქრი უკვე მოგვიანებით მოგიწევთ.

**კურო 22.04-21.05**
**23 იანვარი:** ისე მოიქეცით, როგორც თქვენ გაწყობთ, სხვებმა უნდა დაიცადონ. შეიძლება ვიღაცას ეწყინოს კიდეც, მაგრამ მთავარი თქვენი საქმეებია.

**ტყუპები 22.05-21.06**
**23 იანვარი:** აზარტული იქნებით, ამიტომ ეს დღე საინტერესოდ ჩაივლის. ფრთხილად იყავით, წაგებისთვის განწირული სანაძლეო არ დადოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**23 იანვარი:** არავისი წყენინება არ გინდათ, მაგრამ დღეს ამას თავიდან ვერ აიცილებთ. შეეცადეთ, ეს ადამიანი თქვენთვის ახლობელი და საჭირო ადამიანი არ აღმოჩნდეს.

**ლომი 23.07-22.08**
**23 იანვარი:** დღეს, როგორც არასდროს, სიტუაციის კონტროლი არ უნდა დაკარგოთ. თუ ვერ მოახერხებთ, ყველაფერი აირ-დაირევა.

**ქალწული 23.08-22.09**
**23 იანვარი:** დღეს გარკვეულ მსხვერპლზე წასვლა მოგიწევთ, მაგრამ თქვენი ახლანდელი მოქმედებები სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს. თუმცა ლოდინი მოგიწევთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**23 იანვარი:** მიენდეთ სხვათა აზრებსა და გრძნობებს, თუნდაც ეს თქვენს თავმოყვარეობას მტკივნეულად შეეხოს. თუ თვითრეკლამას დაიწყებთ, თქვენი ფანტაზია ჩარჩოებში მოაქციეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**23 იანვარი:** მაქსიმალურად შეეცადეთ, თქვენი სისუსტეების შესახებ არავის არაფერი უთხრათ. ამით შეიძლება ვიღაცამ ბოროტად ისარგებლოს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**23 იანვარი:** არ ღირს წესების წინააღმდეგ წასვლა. ამით უფრო წააგებთ, ვიდრე რამე დადებით შედეგს მიიღებთ. უმჯობესია, ყველაფერი თავიდანვე აწონ-დაწონოთ, ვიდრე მერე ინანოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**23 იანვარი:** როგორც ჩანს, ვიღაცა მოტყუებას გიპირებთ. თუმცა შესაძლოა, ეს მხოლოდ მეგობრული ხუმრობა აღმოჩნდეს.

**მერწყული 20.01-18.02**
**23 იანვარი:** ამ დღის დაგეგმვის შემდეგ, მასში მოგიწევთ ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც გეგმიდან აცდენის საშუალებას არ მოგცემთ.

**თევზები 19.02-20.03**
**23 იანვარი:** დღეს რაღაცით ისე იქნებით გატაცებული, რომ საზიზღარი თანამოსაუბრე იქნებით. დროზე მოდით აზრზე, სანამ ამას სხვა გააკეთებს.

## ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოს ჩატარების პროექტის ტენდერი №(1/7) 2013

ერაყის რესპუბლიკის საელჩო თბილისში აცხადებს ტენდერს საელჩოს შენობის რეკონსტრუქციისა და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარებაზე. საინჟინრო სფეროში დაკავებულმა კომპეტენტურმა საკონსულტაციო ოფისებმა და კომპანიებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტენდერში მონაწილეობის მიღებაში, მიმართონ ერაყის საელჩოს თბილისში სატენდერო დოკუმენტაციის შეძენისთვის (ფასი: 150 აშშ დოლარი, არადაბრუნებადი თანხა).

სატენდერო შემოთავაზება უნდა წარმოდგენილ იქნეს დაბეჭდილ კონვერტში, რომელზეც გარკვევით უნდა ჩანდეს ტენდერის ნომერი №(1/7) 2013. შემოთავაზებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 20 თებერვალი, 16:00.

ის შემოთავაზება, რომელიც არ დააკმაყოფილებს სატენდერო პირობებს, განხილული არ იქნება. საელჩო იტოვებს უფლებას, მიიღოს ან უარი განაცხადოს შემოთავაზებაზე, მიზეზების ახსნის გარეშე.

მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში:

ტელეფონი : +995 32 2234501
ფაქსი: +995 32 2294503
ელექტრონული ფოსტა : **iraqiageoemb@yahoo.com**

# თუ ადამიანი კბილებს აკრაჭუნებს, ჭიები ჰყავს?



სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ბრუქსიზმი აწუხებს – სინდრომი, რომელიც თავის ტვინის ნაკლებად შესწავლილი მონაკვეთების მუშაობას უკავშირდება.

თუკი თქვენს წინაშე ბავშვია, მით უმეტეს არ უნდა შეშინდეთ, რადგან პატარები ძილში კბილებს ყოველთვის აკრაჭუნებენ, რათა სწორი თანკბილვა ჩამოუყალიბდეთ.

მოკლედ, თუკი გაიგებთ, რომ ადამიანი კბილებს აკრაჭუნებს, ნუ დაეტაკებით შეშინებული და მის გაღვიძებას ნუ დაიწყებთ. მით უმეტეს, რომ ბრუქსიზმი ხშირად თავისით იკარგება.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გურიის ერთ-ერთ სოფელში მიცვალებულია გასაპატიოსნებელი. მეზობლები მსჯელობენ, როდის დაიწყონ პროცედურა, როდის დაბანონ, როდის ჩააცვან ტანსაცმელი...

ერთი მეზობელი თავგამოდებით გაიძახის:

– ჯერ ადრეა, ძამა, ჯერ ადრეა, ხვალ დილით ჩავაცვათ, ჯერ ადრეა!

ამოუვიდა მეორეს ყელში და:

– რაია, ძამა, რეიზაა ადრე, ამეიჩეჩავს ხვალ დილამდე, თუ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
211359457
ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.00

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.